ახალი პიესა № 1.

ამ პიესის სცენაზე, დადგმისათვის საჭიროა ავტორის ნებართვა.

ხელოვნება თუ კაკარდა?

კომედია 3 მოქმ. ალექსანდრე ბაქრაძისა.

Настоящая пьеса подъ заг. „Исскуство, или Кокарда"; разрѣшена Намѣстникомъ Его Императорскаго Величества на Кавказѣ, для постановки на сценахъ края 3 марта 1906 года г. Тифлисъ.

За Предсѣдателя Комитета **А. Кишмишевъ.**

Секретарь **Н. Меликъ-Нубаровъ.**

ბაბოცემა

	გიორგი გაბრიელის-ძე შადინოვისა.

თ ფ ი ლ ი ს ი

სტამბა „**ალბალი**" (მ. ლ. კიკნაძე). ნიკოლ. ქუჩა № 6.

1907

გულ-წრფელ მადლობას ვუძღვნი ვიორვი გაბ-
რიელის-ძე შადინოვს, რომელმაც საშუალება მომ-
ცა ამ პიესის გამოცემისათვის.

ავტორი.

Дозволено цензурою, Тифлисъ 1906 года.

მოქმედნი პირნი:

1) **ილია არსენიევიჩ ტრუჟენიკოვი** (მხატვარი ახალგაზდა)
2) **იოსებ ზახარიჩ ვეტროვსკი** (ჩინოვნიკი ამხანაგი ილიასი)
3) **მიხაილ გრიგორიჩ დურნოვი** (უფროსი მოხელე)
4) **ელენე გავრილოვნა** (ცოლი ამისი)
5) **სოფიო მიხაილოვნა** (ამათი ქალი 18 წლ. გემ. გაპ.)
6) **ნიკალაი პეტროვიჩ დობროვი** (ილიას ამხანაგი მხატვარი ახალგაზდა სამზღვარ-გარეთ ნამყოფი).
7) **მატრონა** (მათხოვარა დედაკაცი 50 წლ.)
8) **ლიზა** { ამის შვილები 21 წლისა
9) **ვანია** { „ 29 წლისა
10) **სერგეი პეტროვიჩ** { მაწანწალა { 65 წლ.
11) **ივან ზახარიჩი** { მწერლები { 60 წლ.
12) **ფოჩტალიონი.**
13) **აკადემიკი რუიცკი** 50 წლ.

მოქმედება სწარმოებს რუსეთში.

ხელოვნება თუ კაკარდა?

კომ. ᲐᲛᲝᲥ. ᲐᲚ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲡᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ Ქ. ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ.

სიუჟეტი რუსეთის ცხოვრებიდგან არის აღებული.

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ.

სცენა წარმოადგენს დიდ ღარიბულად მოწყობილ ოთახს შუაში კარები, აქეთ იქით ფანჯრები, ორი კუშეტკა სდგას ლობინით ფანჯრების წინ მაგიდები ორი, ერთზედ აწყვია: ქაღალდები, წიგნები, საანგარიშო სჩოტი და საწერ-კალამი პორთფელი. ქვეშა ყრია ქაღალდები ძველი წიგნები. მეორე სტოლზედ სდგას ბოთლი ნახევრად არყით, ქვეშ თეფშები, ნავთის ქურა, ქვაბი, ჯამი შიგ ოთხი კვერცხია. თუნუქის ჩაინიკი; იქვე ვედრო წყლით კრუშკა და პირის საბანი თასი. სტაქნები და სხვა... ორი სკამი (ტაბურეტკები). კედელზედ მარცხნივ ჰკიდია რამდენიმე ნახატი სურათები, ცოტათი წინ ჰსდგას სახატავი დაზგა (მოლბერტი) ზედ სახატავათ მომზადებული ტილო, ჩარჩოზე გაკრული. იქვე მაღალი სკამი ზედ აწყვია პალიტრა, კისტები და სამღებროები. დაზგის წინ მაღალი სკამი. კუთხეში სდგას ძველი ეტაჟერკა, ზედ აწყვია წიგნები და ძველი ჟურნალები. მარცხნივ კუშეტკაზედ სძინავს ილიას თმა გაბურძგნული, ხვრინავს. მარჯვნივ კუშეტკაზედ იოსები ზის და ფეხსაცმელს იცვამს.

გამოსვლა 1-ლი.

ილია და იოსები.

იოსები. რა უბედური ხვრინვა იცის ამ ოხერმა! რომ არ გამოვაღვიძო, არც საღამომდის ადგება! (წამოდგება და დასცქერის). ვინიცის ეხლა რა სიზმრებშია? უსათუოდ დაფნის გვირგვინი ელანდება. ეს უბედური სულ იმის ფიქრშია, რომ ოდესმე გამოჩენილი მხატვარი შეიქნება. მთელ დღეებს სულ რაღაცა ჯღაბნაში ატარებს დროს. ხანდიხან მოუვა ჯავრი და მთელი კვირის ნახატს, სულ ერთ წუთას მიფხრეწავს ხოლმე! აბა მაშინ არის სიშინელი სანახავი! ერთხელ გამიწყრა ღმერთი და უთხარი: ნამდვილი მხეცი ხარ მეთქი, მაშინვე მოავლო სკამს ხელი და კინაღამ თავი შუაზედ გამიხეთქა! (მივა პირს იბანს იწმენდს) უნდა კი ვსთქვა, რომ თუმცა დღეში ხან ათჯერ წავიჩხუბებით ხოლმე, მაგრამ მაშინვე ვრიგდებით. კარგი გულისაა ძალიან. მე რომ დამიჯეროს ამ უტვინომ და სამსახურში შეეიდეს ძალიან მალე დაწინაურდება მაგრამ ეშმაკის ცხენზეა შემჯდარი (იცვამს ფინჯაკს) აბა თუ შეინძრეს? ილია! ილია! ძილში არ გამეპარო შე მუდრეგო! ადე გათენდა ადე თორემ ამ ვედრო წყალს ზედ თავზე გადაგასხამ. (ანძრევს) ჯანდაბას შენი თავი! (წამოვა აქეთ თავს ივარცხნის) ნეტა რა

დროა ეხლა? ეს ოხერი ერთი საათის ღირსი ვერ გავხდი. ჩინოვნიკი და უსაათობა, რომ არ უხდება? ვნახოთ ხვალე ოცია იქნება ერთი სამი მანეთი მაინც არის გადამრჩეს, იქნება ნახმარი ვიყიდო. (ანბარიშობს სჩოტზედ) ეს სახლის ქირა, სარეცხი, მედუქნისა, მეწვრიმლისა, ტანისამოსისა თუმანი მმართებს, ? მანეთს მივცემ (ჩააბდებს) მიხაილ გრიგორიჩს უსათუოდ უნდა მივცე თორემ ეს მესამე ოცია. (ჩააბდებს). აი გაგიწყრა ღმერთი აქ 25 მანეთიც შესდგა, საათი რიღათი უნდა ვიყიდო, რომ სულ ოცი მანეთი უნდა ავიღო. არ მივცე მოვალეებს და მეორე ოცამდე მშიერს მომკლავენ. (ფიქრობს) ეს ოხერი თითქოს ბევრსა ვმუშაობ, ვმუყაითობ და არ იქნა და არა ვერ მომიმატეს ჯამაგირი. არა უსათუოდ უნდა თავი მოვიკატუნო და ენა გავილესო! (ბაივლის) აბა თუ ჩემი ბოსიაკები მოვიდნენ? გადასაწერი მივეცი და ვინ იცის მიითვრნენ სადმე და ილიასაებ ხვრინავენ, აბა მაშინ იქნება სეირი აი? (უყვირის) ილია, ილია! ადე შე მუდრეგო! რით ვერ გეყო მაგდონი ძილი?

ილია. (ძილში იშმუშნება) რა გაღრიალებს შე დათვო რა დიდ გულზედ ხარ? მე ვიცი მოხრაკულები გექნება დამზადებული? იქნება გეშინიან, რომ არ გაცივდეს? (გადაბრუნდება მეორე გვერდზედ).

იოსები. (თავის ლოგინს ასწორებს) კაცოდა! მოხ-

რაკულები რომ არ დაგიმზადო არ ადგები? იქნება ღმერთი რას გვაძლევს?.

ილია. (მწოლარე) არიქა ეცადე! იქნება იპოვნო რამე? არა რომელი ოხერი იქნება, რომ დაჰკარგოს, რამე და შენ იპოვნო!.. შენ სულ ღმერთებზედ აიშენე შენი მომავალი და შენი თავის გახეთქამ მიახწევ საწადელს?

იოსები. (სინჯავს ქაღალდებს) აბა შენზედ თუ ავაშენე, მილიონების პატრონი შევიქნები არა? ადე, ადე! იქნება შემოვიდეს ვინმე? ეგრე ხომ არ ეგდები? დახატე რამე მაინც.

ილია. ჰო! მართლა! ეხლა კი მივხედი. შენი უფროსის ცოლი შემოვა და დაგიწყებს ხვეწნას: გეთაყვა იოსებ ზახარიჩ ხვალ ოცია და ვინძლო თვალი დაიჭირო ჩემს ქმარზედ. არსად არ დაითვრეს სახლამდის მოაცილეო. (წამოდგება).

იოსები. მე არც კი მომგონებია, მართლა ჩაიცვი იქნება შემოვიდეს.

ილია. (პირს იბანს შემდეგ გადაიცვამს სამუშაო ხალათს) აბა მშვენიერო იოსებ, ადრე რომ აბძანდი რა საუზმე მოამზადე?

იოსები. რა უნდა მომემზადებინა ჩემო ბატონო? წუხელის რამთონი დამიტოვე პროვიზიისთვინ! აი მგონი რამდენიმე კვერცხია, მოვხარშოთ და საუზმე იქნება.

ილია. კიდევ კარგი ხომ კვერცხები დაგვრჩო-

მია, შე მუდრეგო თუ კი ეგეც იცოდი აქამდის რალას აკეთებდი ველარ მოხარშე? (იოსები შესცქერის) რალას გაშტერდი აანთე ქურა და მოხარშე.

იოსები. მამა შენსაცა ჰყვანდა ჩემისთანა ბიჭები, ჰო მიბძანე შენ ნუ მომიკვდები (აანთებს ქურას სდგამს ზედ ქვაბსა, ჩაასხამს წყალსა).

ილია. მამაჩემს თუ არა ჰყვანდა მე ხომ მყავს. მართლა მოვლენ თუ არა დღეს შენი მაწანწალა მწერლები?

იოსები. რომ არ მოვიდნენ დავიღუპები კიდეცა, დღეს თუ არ წარუდგინე ანგარიშები ძაან შამახურებს ჩვენი უფროსი. (სინჯავს ქაღალდებსა და პორტფელში აწყობს).

ილია. აბა ხვალ თქვენი დედამიწა უკულმა მოტრიალდება, რა გიჭირს შვილოსა რა (სიცილით) მოგივათ ოცი და ჩაითვლით ჭრელ-ჭრელ მანეთიანებს. (ჩამოჯდება)

იოსები. აკი გეუბნები გაანებე მაგ შენს ტუტუცურს მხატვრობას თავი და სამსახურში შედი მეთქი, იქ სადაც მართლა და აფასებენ ხელოვნებას ვერას ხდებიან, ერთი მითხარი ჩვენში ვინ რათ ჩაგთვლის, გინდ რაფაელის მადონაც შეჰქმნა.

ილია. რაო სამსახურში შევიდე? მერმე შენ რა დღეში ხარ შე უბედურო, რომ გინდა მეც თავი იქ ამომაყოფინო, პატიოსნათ, ჩემთვის არხეინათ,

ვარ, როცა მინდა ვმუშაობ, როცა მინდა დავიძინებ, იქ კი დანიშნულს დროზედ გამოექიმე ყოველს ოხერს ფორმაში და უკანტურე თავი სანამ არ. გეტყვის დაჯექიო, აგერ ექვსი თვეა თავს იკლამ თვეში ოცმანეთათ და მაინც ყელამდის ვალებში იხვრჩები. ერთი საათი ვერ გიყიდნია თუმცა კი ძალიან გულით გინდა რომა გქონდეს, მარტო იმითი ღა ხარ კმაყოფილი რომ ფორმით გამოჭიმული აუვლ-ჩაუვლი ქუჩებში და ეწონები კუდა ბზიკა ქალებს, მუცელში კი რომ ჩამოგხედოს ვინმემ ჩაით გარეცხილს ნაწლავების მეტს ვერასა ნახვენ. ჯიბეები მხოლოთ იმისთვის გაკერია, რომ ხელები შიგ ჩაიწყო და ბულვარის სკამეიკაზედ გადაიჭიმო. ორი გროშის გულისათვის კაცს არ დაინდობთ ისე გაქვსთ სვინდისი გარეცხილი, ეს არა ხართ ჩემო კაკარდოსანნო ჩინოვნიკებო! რას დააღე პირი ჩააწყე, ეგ კვერცხები, წყალი რამდონი ხანია რაცა დულს.

იოსები. (აწყობს კვერცხებს) შენმა მზემა შენკი სულ ოქროებში სცურავ, ხან მაძღარი ხარ, ხან მშიერი. სამღებროს ფულები რომ შემოგაკლდება ცოფიანი ძაღლივით დარბიხარ ხოლმე, რაქენი მიეცი იმ ქალს ფული? ერთი კვირა რომ გატიტვლებული სტატუასეება ლოკულობდი.

ილია. მერე შენ როდის მოგადგა კარზედა და შემოგჩივლა რომ ფულს არ მაძლევო, შე ოხერო

აი ამ სურათზედ ორი დღე რომ კიდევ ვიმუშავო ათ თუმნად მაინც გავყიდი. შენ კი ათ თუმანს ერთათ ვერც ერთს წელიწადსა ნახავ, აი ვნახავ შენს მწერლებს როგორც გაუსწორდები საცაა მოვლენ.

იოსები. (ამოიღებს კვერცხებს აწყობს სტოლზედ) მოდი კარგი დეეგდე, გეყოფა მაგდენი ყეფა, ხმა წაგივა, ნუ გეშინიან მეც მალე ვეწევი რასმეს, თუ დაუსიძევდი მიხეილ იაგორიჩს მაშინ ჩემი საქმე კარგათ წავა, ჯამაგირს ეცდება რომ მოამატებინოს, ცოტაოდენ გროშებს თითონაც მომცემს და მაშინ გამეჩარხება საქმე (ჯდება სტოლთან).

ილია. (მოუჯდება სტოლს). მერე შე უბედურო სოფია მიხეილოვნას როგორც ვატყოფ მე მოვწონ-ვარ, და შენ საიდგან გაგეჩარხება საქმე.

იოსები. შენმა მზემ შენ აგრე ბგონია, რაკი შენი რაღაცა ნაჯღაბები მოსწონს, შენ ეს სიყვარულათ ჩასთვალე რაღა.

ილია. აი ვნახოთ მე კი მიყივლია და. თუმცა მე რა თავში ვიხლი, შენ თუ იმის თხოვნა გინდა, ეს იმიტომ რომ სამსახურში წინ წაგწიონ, აბა მე რათ მინდა რა სურათებს დამიხატამს თუ გამიყიდის, ეხლა თქვენ მოხელეებში მაინც ანგარიშით არის ცოლების თხოვნა, თუ ცოლი გივარგა იცოდე წინ წაგწევენ, ამაშიკი დაგეთანხმები რომ ასე იქცევით.

იოსები. ვერ მოგართვი! მე მაგ აზრისა არ გახლავარ, დაწინაურებას თუ ველი, იმის მამისაგან და არა სოფია მიხაილოვნასაგან.

ილია. რაო? იმის მამისაგან? მერმე იმის მამა ვისგნით დაწინაურდა, შენ თითონვე არა. როშავ ხოლმე, მაგრამ არა მგონი სოფია მიხაილოვნა მაგ აზრით გამოგყვეს ცოლათ, ის დედას სრულებით არა ჰგავს.

იოსები. რავქნა რომ ცოლისაგან, ის მიხაილ გრიგორიჩა!

ილია. (აწყვეტინებს) და შენ იოსებ ზახარიჩი არა? შე უბედურო ეგრე რომ მოიქცე მეორე დღესვე გამოგაგდებენ, ხომ მშივრები დაიხოცებით, თქვენი დიდი უფროსი ზვერსკი, ისეა დაგეშილი თავის მოხელეების ოჯახში, რომ ვის მადამას, როგორი ჩარსავის არშია აქვს მოვლებული სათი-თაოთ იცის, თუ კრაოტი უხერხულ ადგილასა სდგას, საითკენაც მოეწონება იქითკენ დაადგმევი-ნებს, ამას წინათ არიყო რომ ერთი მოხელის ცოლის საწოლში შესულიყო ღამე, და ეთქო ცისფერი ლამფა რომ ენთოს საწოლ ოთახში, უფრო მოუხდება ვიდრე ვარდის ფერიო, მერმე იმ ვირ მოხელეს დეეჯერებინა და გულის ფანცქალით შეესრულებინა უფროსის შენიშვნა.

იოსები. (სინჯავს ჩოთლსა) აკი ვსთქვი შენ თუ

აეშვი ჯაქვიდამ ველარავინ დაგაბამს. (ისხამს არაყს და სვამს იმას) ჩასცეცხლამ თუ არა?

ილია. მოიტა ავათ ხომ არა ვარ რომ მეკითხები (სვამს)

ოსები. დასტოვე რამე, ის მაწანწალები მაგით მაინც მოვიშორო, თორემ ფულის თხოვნას დამიწყებენ.

ილია. რისა გეშინიან ერთ მანეთამდის კიდევ მიჭყავის და მერმე ხვალ ხომ შენც გამდიდრდები.

ხმა გარედამ. ხომ არა გძინავთ?

ილია. არიქა! აკი გითხარი, აბა რაზედ დაჭპატიჟებ სასიდედროს.

ოსები. (მიდის კარებთან). მობრძანდით რა დროს ძილია. (შემოდის ელენე გავრიილოვნა)

გამოსვლა 2-რე.

იგივენი და ელენა გავრიილოვნა.

ელენა გავ. უკაცრავოდ, თქვენ მგონია საუზმობთ, მაგრამ არაუშავსრა მე მალე წავალ.

ოსები. რასა ჰბრძანებთ ელენა გავრილოვნა! თუ ღმერთი გწამთ დაბრძანდით (ჯდება).

ელენა გავ. თქვენ კი ფეხზედ უნდა იდგეთ?

ოსები. რა უშავს! ნამეტნავათ თქვენს წინაშე.

ილია. (იქით) არიქა დაიწყო ეხლა კი გამოჭი-

მული კომპლიმენტები. იოსებ შენ დაჯექი, მე საქმეს შეუდგები. (ადგება და ამზადებს სახატავსა.)

იოსები. ძალიან კარგი, (ჩამოჯდება) სხვა ელენა გავრიილოვნა სოფია მიხაილოვნა როგორა ბრძანდება, რას საქმიანობს?

ელენა გავ. რა უშავს ღღითი ღღე უკეთესდება, მხოლოთ ერთი უბედურება ეს არის ჩვენ, ალარაფრათ გვაგდებს, რაღაც ტუტუცურ წიგნებსა კითხულობს, იმათ სულ გადამირიეს.

იოსები. ეს კი ვერ კარგი, რომ თქვენ დედმამას ყურს არ გიგდებთ, ვალდებულია უნცროსმა უფროსი უნდა იცოდეს ესე ყოფილა წინეთ დაკარგია არც ეხლა შეირყეს წმინდა ჩვეულებანი.

ილია. (იქით) მოდი ეხლა ამას, ერთი კარგათ ლაზათიანათ ნუ გამოვლანძღამ (იოსებს). როგორ განა იოსებ შენ წინალმდეგი ხარ წინსელისა, და ძველი დამყაყებული ჩვეულობის უარყოფისა?

იოსები. (ყოყმანით) არა... მაგრამ... ეს კი ვერაფერია, რომ გასათხოვარი ქალი, დედ-მამის რჩევა დარიგებას ყურს არ უგდებდეს.

ელენე. გავ. იოსებ ზახარიჩი მართალს ამბობს, დროება გაფუჭდა ბატონებო, თორემ ვის გაუგონია, რომ შვილები დედმამის დარიგებას არაფრად აგდებდნენ.

ილია. ბატონებო! დღეს ისეთი დროა, რომ ყველას თავისუფლათ შეუძლიანთ განსაჯონ თა-

ვიანთი მომავალი, თქვენ მაგალითათ თქვენი ქალის ურჩობას იმას უწოდებთ, რომ თქვენი არჩეული საქმრო დაიწუნოს და თვითონ თავის ნებით აირჩიოს.

ელენა გავ. რასაკვირველია ურჩობა იქნება, არა მე განა მშობელი დედა ავს მოვინდომებ ჩემის შვილისათვის?

იოსები. რასაკვირველია არა!

ილია. წარმოიდგინეთ, ხანდახან, უფრო კი ხშირად მითომდა დედმამის სიკეთე საქმროების არჩევაში ბოლოს სიბოროტეთ გადაექცევა ხოლმე ქალს.

ელენა გავ. აბა თქვენგნით, რომ ამისთანა რჩევა და დარიგება ესმით, და ი რალაცა ტუტუცურ წაგნებს აძლევთ საკითხავათ, რასაკვირველია ისენიც სხვანაირათ მოიქცევიან. მართლა იოსებ ზახარიჩ, თუ ღმერთი გწამთ ხვალ თვალი დაიჭირეთ ჩემს ქმარზედ რომ არსად არ დაითვრეს, თქვენვე წამოჰყევით სახლში და საბოლოოდ მოვილაპარაკოთ ჩვენს საქმეზედ. ეხლა კი წავალ რომ გავისტუმრო სამსახურში (ადგება).

იოსები. ძალიან კარგი, თვალს არ მოვაშორეფ, ვეცდები რომ მევე მოვაცილო.

ელენა გავ. თქვენი იმედი მექნება, თორემ თუ დაითრო მთლათ დავიღუპებით, სულ გაჰფლანგავს რასაც აიღებს, ნახვამდის ბატონებო!

იოსები. ნახვამდის ბრძანდებოდეთ. (ელენა ბავრილოვნა ბადის).

გამოსვლა 3-მე.

იოსები და ილია.

იოსები. არა ვინ გეუბნებოდა ამიხირდიო გიჟია ეს ოხერი, ეხლა ვინ იცის ახლო არაკი მომეკაროს ეწყინება.

ილია. თავში ქვა შენც იხალე და მანდ მაგანაც თუ ეწყინბეა, მერა?

იოსები. რასაკვირველია შენ რა!

ილია. არა როგორ არა გრცხვენიან შე მუდრეგო, რომ ეუბნები რომ ნეტავი ძველი ჩვეულება არ შეირყესო, ე მაგის მეტი ვერა შეისწავლერა შე ცოცხალო მანქანავ თქვენს სამსახურში? მაგრამ ან რა უნდა ისწავლოთ, ისე გაქვთ ტვინი გამოლაყებული ერთ და იგივე ციფირების ანგარიშით და გადაწერით, რომ მიკვირს ან როგორღა ახერხებთ სხვა საგანზედ ლაპარაკსა?

იოსები. კარგია თუ ღმერთი გწამს შენ რაღაცა ძაღლის გუნებაზედა ხარ ამდგარი დღეს (კარებისაკენ მიახედავს). აბა თუ მთვიდნენ ის ოხრები, ლამის სამსახურში დამიგვიანდეს.

ილია. დაგიგვიანდება და კარგათაც შეგაფუც-

ხუნებენ, (ისმის კარების ბრახუნი) არიქა მეშველა, მგონი ისინი არიან (იოსები მივარდება კარებს და აღებს შემოდიაი ივან ზახარიჩი და სერგეი პეტროვიჩი რომელსაც ხელში ქაღალდები უჭირავს.

გამოსელა 3-მე.

ივინივე ივან ზახარიჩი და სერგეი პეტროვიჩი.

იოსები. ძლივს, რათ დაიგვიანეთ? მე გუშინ გელოდით, სულ გადასწერეთ?

სერგ. პეტ. ხუმრობა ხომ არ არის ამოდელა ქაღალდების გადაწერა.

ივან. ზახარ. ბარემ ჩვენცა ვჩქარობდით მაგრამ გუშინ ცოტა არ იყოს ღმერთი გაგვიწყრა, კაცმა სიმართლე უნდა სთქვას...

სერგ. პეტ. (აწყვეტინებს) მოჰყევ დაფქვას შე ოხერო, ენას ხომ მაშით არ გეწევიან, (იოსები სინჯავს ქაღალდებსა.)

იოსები. უსათუოთ გადაჰკრავდით, კიდეც იმიტომ ალაგ-ალაგ ჰუჰყიანათ არის ნაწერი, მაგრამ არაუშავსრა, დღეს უსათუოთ უნდა ჩავაბარო. სერგეი პეტროვიჩ რა დროა ხომ არ იცით?

სერგ. პეტ. ეხლა იქნება ცხრა სიათი,

ივან სახ. იმიტომ რომ შტაფთან რომ მოველით ნახევარი იყო ცხრისა.

ილია. (ჯდება სახატავთან) მაშ ჯერ ცხრა არ იქნება, იქიდან აქ სულ ათი წუთის სავალი გზა არ არის.

ივან ზახ. ჩვენ ბატონო ცოტა დუქანში მთგვიგვიანდა, თითო პატარები გადუძახეთ.

იოსები. ვაიმე მაშ მეტიც იქნება! (ქალალდებს ჩააწყობს პორტფელში.) აბა ილია, ეხლა კი წავალ თორემ დამიგვიანდება.

სერ. პეტ. იოსებ ზახარიჩ, ცოტა რამ უნდა დაგვიტოვო თორემ ესე არ იქნება ერთი შაური არა გვაქს რომ თითო პატარა მაინც დავლიოთ, თქვენის იმედით დღეს უკანასკნელი შაურიც შამოგვეხარჯა,

იოსები. როგორმე ოლას წადით, ხომ იცით ხვალე ოცია, გაგისწორდებით (ილიას) ილია რას ჩაგიქინდრავს თავი უთხარი რამე მე მიგვიანდება. ნახვამდის ბატონებო (ზადის.).

ივან ზახ. სწორეთ არა მესმის რა! რალა ვქნათ დღეს?

სერ. პეტ. არ გითხარი იმ შაურს ასრე მალე ნუ დავხარჯამთ მეთქი, ხომ იცოდი, რომ ხვალე იყო ოცი?

ივან ზახ. ეშმაკმა დასწყეველოს მე დღეს მეგონა რა ვიცოდი (ჩაჰქინდამენ ორთავე თავებს.).

ილია. (დიდი ხნის ფიქრის შემდეგ იქით) ეს კარგი აზრი ვომიკიდა, ესენი ძალიან მშვენიერი ტიპები

არიან, არც თუ ბევრს გამომართმევენ, სამ დღეში დავხატამ. (იმათ) იცით ბატონებო რა გითხრათ? ძალიანაც რომ ბევრი იხტუნოთ იოსები თქვენ დღეს ერთ გროშსაც ვერ მოგცემთ, რადგან თითონაც არა აქვს რა, ხვალე კი გაგისწორდებათ, ამისათვის მოდი დამეთანხმეთ და დაგხატამთ. დღეში რომ თითო საათი შემომწიროთ. სამს ან ორს დღეში მოვოჩები, რასაკვირველია ამისათვის მიიღებთ ჯილდოს (სერგეი პეტროვიჩი და ივან ზახარიჩი ერთმანეთს შეხედვენ.).

სერ. პეტ. მერმე დღეს მოგვცემთ რასმეს თუ თქვენც ოცში გაგვისწორდებით.

ილია. მე არსადა ვმსახურობ და არც ოცებს უცდი.

ივან ზახ. მაშ კარგი, რას იტყვი სერგეი პეტროვიჩ?

სერ. პეტ. თუ კი ეხლავე იქნება რამე არასფერს.

ილია. აბა დღეში თითო საათი, საათში რას გამომართმევთ?

ივან ზახ. (სერგეი პეტროვიჩს) რამდენი გამოვართვათ!

სერ პეტ. ორთავეს საათში ათი შაური ვგონებ ძვირი არ უნდა იყვეს! ხანდიხან არზების წერაში მეტსაც ვიღებთ.

ივან. ზახ. ხან ერთს გროშსაც ვერ ვიღებთ (სერგეი შეუბღვერს)

ილია. კარქი ეგრე იყოს, მანამ მე საქმეს მოვაწყობ სანამ დასხედით. (ჩამოიღებს დაზბიდან სურათს, სვიმავს სხვა ტილოს აკეთებს ოთხ-კუთხს ზაზებს ტილოზედ.).

სერ. პეტ. (მივა სტოლთან, ივან ზახარიჩს ჩუმათ) ამ ბოთლში არაყი უნდა იყოს, აბა შეხედე?

ივან ზახ. (აცქერდება) რაღაც კი ზდგას, აგერ სტაქანშიაც ცოტა ღარჩომილა. აბა დასუნე რის სუნი უდის.

სერ. პეტ. (იღებს სტაქანს ისე რომ ილიამ ვერა ნახოს და სუნავს) ნამდვილათ არაყია!

ივან ზახ. (იღებს ბოთლს და სუნავს) არაყია რა ვქნათ?

სერ. პეტ, დავლიოთ!

ილია. აბა ბატონებოთ მე მზათავარ, მობრძანდით აი აქეთ (სერგეი და ივანა წამოვლენ წინ ხელში შერჩებათ სტაქანი და ბოთლი.).

ივან ზახ. (უცებ ბონზედ მოვა სერგეის) ეს რა ღმერთი გაგვიწყრა სტაქანი და ბოთლი ხელში შეგვრჩა.

სერ. პეტ. არაუშავსრა მოვიგონოთ. რამე, (ილიას) ბატონო მხატვარო, უკეთესი არ იქნება რომ ხელში გვეჭიროს რამე, რას იტყვით თქვენ?

ივან ზახ. (სერგეის) აი დაგწყევლოს ღმერთმა საიდამ მოიგონე!

ილია. მართლაც რომ კარგი იქნება, და ეგ არის სწორეთ საჭირო რაც ხელში გიჭირავსთ (ივანას) თქვენ ესრე დადექით და გულზედ მიიხუტეთ ბოთლი. ჰო, ეგრე. (სერგეის) თქვენ კიდევ სტაქანი ხელში დაიჭირეთ და გაუწვდინეთ ხელი ვითომ სთხოვთ რომ დაგისხან სასმელი, მეორე ხელით აჩვენეთ ყელზედ. ნიშნათ მითომც ეხვეწებით, ჰოო, ესე, ძალიან კარგია, მშვენიერება რამ იქნება.

სერგეი პეტ. ბატონო ეს ცოტა აო იყოს უხერხულათ იქნება, სჩანს რომ ივან ზახარიჩს ვეხვეწები არაყი დამისხას სულ კი ეგ მეხვეწება ხოლმე.

ილია. (სიცილით) არა უშავსრა, ეს მხოლოთ სურათისათვის იყოს ესე.

ივან ზახ. შენ კი არ გიხვეწნია?

სერგეი პეტ. არასდროს! მე ყოველთვის ფული მაქვს ხოლმე.

ივან ზახ. შენ რომ ძალათი იხაზინადრო ვისი რა ბრალია, რალაც მიზეზით, ეშმაკმა იცის ჩემი ნაშოვნი ფულებიც შენს ჯიბეში ამოჰყოფს ხოლმე თავსა.

ილია. აბა გაჩერდით! ჰო ეგრე! ვინძლო არ გაინძრეთ, თუ კარგი სურათი გამოვა, იცოდეთ დაპირებულს ზევით მეტს მიიღებთ, ვიწყოფ, ეგრე. (ილია იწყობს ხატვას დიდხანს პაუზა. ივანა რა ნახავს რომ

ილია ერთვება ხატვაში, ბოთლს ნელ-ნელა ცხვირისაკენ წაიღებს, სუნავს. სერგეი მივარდება ხელებში.).

ილია. (შეხედავს) რასა შერებით, ეგ როგორ შეიძლება უნდა გაჩერდეთ, თორემ რას ეგვანება?

სერ. პეტ. ბატონო, მე შემეშინდა არ გამოცალოს მეთქი! და ვაითუ სურათში ბოთლი ცარიელი გამოსულიყო.

ივან ზახ. რას მიჰქარამ, მე მხოლოდ უსუნე ძმარი მეგონა.

ილია. კარგით, აბა როგორც იყავით ისევ ისე დადექით, ჰოო ეგრე! თუ ღმერთი გწამთ არ გაინძრეთ ერთი ნახევარი საათიც, აბა ვიწყობ, (იწყობს ხატვას, დიდხანს სიჩუმეა, ივანა რა ნახამს რომ ილია ერთვება ხატვაში, ნელ-ნელა ბოთლს ტუჩებისაკენ იზიდამს მერმე უცებ მოიყუდებს სერგეი მივარდება ძიძგილობენ.).

სერ. პეტ. რა ღმერთი გიწყრება შე გასიებულო ღორო, მარტო გინდა გამოცალო! ცარიელი ბოთლი რალათ ვარგა რომ დაიხატოს. (ართმევს ბოთლს და იყუდებს თითონ. შერმე ისევ ივანა ართმევს, ასე ხან ერთი ართმევს ხან მეორე.)

ილია. (დიდხანს გაშტერებული უყურებს) ბატონებო, ეგ მეტის მეტია ერთი ათი წუთიც მოიცადეთ თუ არადა თავს გავანებებ.

სერ. პეტ. განაგრძეთ, ბატონო განაგრძეთ!

წელან არ გითხარით რომ ბოთლს მე დავიჭერ მეთქი?

ივან ზახ. რას მიჰქარავ! მე არ დამაცადე რომ გემო მენახა ძმარი იყო თუ წყალი, ხელიდგან გამომტაცე, შენ რომ გჭეროდა აქნობამდინ ხომ შვიდჯერ გამოსცლიდი.

ილია. აბა ცოტახანიც გთხოვთ, ეგრე. (პაუზა ივანა მიიტანს ბოთლს ტუჩებთან სერგეი სწვდება. რა შეხედავს ილია მათ, ისევე ისე დგებიან. ეს სცენა რამდენჯერმე მეორდება.).

ილია. დღეს გეყოფათ ზოგიც ხვალ.

ივან ზახ. ბრავო გვეშველა! (ბოთლს მიიდებს ტუჩებზედ; სვამს.),

სერ. პეტ. რას შვრები სულ არ დაცალო. (მივარდება და გამოსტაცებს ხელიდამ. ძიძგილაობენ, ილია გაშტერებული შესცქერის.).

ილია. (იქით) კაცი ზნეობით ასრე როგორ უნდა დეეცეს, რომ არყისათვის, თავს იკლამდეს. (იმათ) ბატონებო აბა მიიღეთ თქვენი გასამრჯელო. (აჩვენებს ათ შაურიანს.).

ივან ზახ. მოწყალეო ხელმწიფევ! შუაზედ გაგვიყავით. ნახევარი მე მომეცით ნახევარი მაგას, თორეშ მაგისაგან ვერას მივიღებ.

სერ. პეტ. გეხუმრებათ ბატონო, ამან სულ ასეთი ხუმრობა იცის, ყურს ნუ უგდებთ. მე მომეცით ჩვენ თითონ გავიყოფთ.

ივან ზახ. რა ხუმრობაა (ცოტა ენას უკიდებს) რაას ბოდავ!

ილია. ამნაირი მეგობრები ხართ და ათ შაურს არ ენდობით ერთმანეთს? (უნდა რომ მისცეს სერგეის ორივენი მისცვივიან.).

ივან ზახ. მაგან... მე.. ბოთლი არ მენდო, ხუთშაურს ვენდობი? მაშ მომეცით მე...

სერ. პეტ. არა როგორ უნდა... გენდო ბოთლი, როდესაც მე არა მკითხამ და მარტო სცლი? არა ბატონო მომეცით მე!

ილია. თქვენ რომ ეგრე იძახოთ ვერცერთი ვერ მიიღებთ. აქ მოიცადეთ ცოტახანს და მე ეხლავე დავახურდავებ (იხურავს ქუდს გადის).

სერ. პეტ. (უყურებს ბოთლს) არა, შე არყის ბოღლოწოვ ასე გამოსცლიან რომ ერთი წვეთი აღარ გაუშვი? მე რომ ამ მხატვრის ადგილას ვიყო სულ ცხვირპირს ჩაგამტვრევდი ღმერთმანი!

ივან ზახ. აკი იმიტომაც არა ხარ მხატვარი რომ სულ მუშტებზედ იყურები შე ვირო შენა!..

სერგ. პეტ. ვინ არის ვირი, შე დათვო შენა! ეხლავ ყბებს ამოგამტვრევ ვის ეხუმრებ? (დოინჯით) შვიდი წელიწადი პროკურორათ ვაყავი შენ ეს იცი?

ივან ზახ. ჯანდაბას... თუ იყავი! ეხლა ისა ხარ რაც მე. შენ თუ პროკურორათ იყავი მე მთელ პოლკსა ვკამანდობდი მერე რავქნათ? ეხლა გვიან

არის ჩვენი თავის ქება. ეხლა ჩვენ თითო ხუთი შაური ვლირვართ, რომ ჩვენი არყით დაბეჟილი სახეები ჯღაბნონ და ქუჩა, ქუჩა ჰყიდონ, გესმის თუ არა შე ბრიყო შენა) (უკან ხელებს დაიწყობს და გაივლის.).

სერ. პეტ. მე შენ გეუბნები კბილებს დაგაძრობ მეთქი. თუ კიდევ გათქვამს ბრიყვოვო! გესმის!

ივან ზახ. (გამოეჭიმება) ბრიყვო, ბრიყვო, ბრიყვო! მაშ რა ხარ, თუ არა ბრიყვი.

სერ. პეტ. აი, თუ ბრიყვო! (ეცემა საყელოში ძიძგილაობენ ბოლოს სერგეი წაიქცევა ივან ზახ. ზემოთ მოექცევა.).

ივან ზახ. თითქო კბილებს მაძრობდი ბატონო დალაძო!

სერ. პეტ. ივან ზახარიჩ! გამიშვი თორემ ყბებს შემოგამტვრევ!

გამოსვლა 4-ხე.

იგინივე და ილია.

ილია. (ჩჩება სახტად) ეს რა ამბავია! დუქანში ხომ არახართ (წამოდგებიან) არა რაზედა ჩხუბობთ? აჰა, თქვენი ფული (აძლევს ცალცალკე)

ივან ზახ. უკაცრაოდ ბატონო! ჩვენ ასეთი სცენები ხშირად შეგვემთხვევა ხოლმე. მაგრამ მალევე

ვრიგდებით ხოლმე. აბა სერგეი პეტროვიჩ! დალაქობა ხომ დაიჩემე შე ბრიყვო შენა! გამოეთხოვე ბატონს მსატვარს.

სერ. პეტ. წავიდეთ, მე შენ გიჩვენებ თამაშას მოიცა! (ილიას) მშვიდობით ბატონო მხატვარო, მაშ ხვალაც მოვიდეთ?

ილია. რასაკვირველია! მხოლოთ ამნაირ სცენებს ნულარ გამიმართავთ.

ივან ზახ. როგორ შეიძლება ბატონო! ამ ბრიყვმა იმდენი არ იცის, რომ აქ სხვის სახლია და არა თავის ქოხი.

სერ. პეტ. კიდევ იძახი ბრიყვოვო! (ავლებს ხელს). გასწი გაეთრიე! (მიჰყავს) მართლა. ხვალ მე დავიჭერ ბოთლს ბატონო.

ილია. როგორ იქნება! მაგრამ ნუ შესწუხდებით.

ორივე. როგორ?

ილია. ისე. ბოთლში წყალი იქნება ხვალ და არც ჩხუბი მოგივათ.

ივან ზახ. ეგ კი არაფერი ამბავია?

სერ. პეტ. ეს სულ შენი ბრალია შე დათვო შენა! გასწი გაეთრიე! (მიჰყავს) მშვიდობით! (გადიან).

ილია. ნახვამდის. (თვალს გააყოლებს). რა არის ეს ოხერი ცხოვრება? სადამდის არ მიიყვანს კაცს. მე ეხლა დარწმუნებული ვარ, რომ ერთი გროშიც არ მიჰყვებათ სახლამდის. ოლონდაც კი არყით

გამოითრონ და ხვალინდელ დღეს არც აინუმში ჩააგდებენ. (წაიოვა წინ) ცხოვრება ძნელი გამოსაცნობიაო უთქვამთ და მართლაც ასეც არი. აარსებენ სიფხიზლის საზოგადოებას და იბრძვიან ლოთობის წინააღმდეგ. უქადაგებენ ხალხს ნუ სვამთ მაგარ სასმელებს მავნებელია ჯან მრთელობისათვისო. და იმავ დროს ურიგებენ ოქროს მენდლებს და ქების ფურცლებს მათ ვინც უკეთეს მაგარ სასმელებს ამზადებს. აარსებენ საქველმოქმედო საზოგადოებებს, რომელთაც აზრათა ააქვთ გაუჩინონ შემწეობა უბინაო მაწანწალა ხალხს და იმავე დროს არ უშვებენ ქუჩებში მოსიარულე საბრალოებს და ერეკებიან სად? თითონაც არიციან სად. ნაბრძანები გვაქვს არ იაროთ ქუჩებში და ჰაერი არა სწამლოთო. გამოცემულია წესები, რომელიც სასტიკათა სჯის ქალებით მოვაჭრეებს მაგრამ იმავე დროს ეძლევათ ნება გააღონ საზოგადო სახლები და ივაჭრონ ამ ცოცხალი საქონლით. რათა? რისთვის? რათა ხდება ასე? (ფიქრობს). იმისათვის რომ ჯერ კიდეე არ ვიცნობთ ცხოვრებას და მის ტალღებს, აქ ცოდნაა და დაკვირვება საჭირო იმის მაგივრად, რომ ფესვიანად ამოვაგდოთ უვარგისი ხე, ჩვენ ტოტებსა ვჭრით. (მივა სურათს უყურებს). ვგონებ ივარგოს. (ჩამოიღებს და სდებს ქალის სურათს), ეს ყველა კარგი მაგრამ, სად ვიშოვნო ლამაზი ქალის თავი, რომ ამ ტანს მივახატო.

ხმა. შეიძლება?

ილია. მობრძანდით! (შემოდის სოფიო მიხაილოვნა).

გამოსვლა 5-თე.

ილია და სოფიო მიხაილოვნა.

ილია. აა! სოფია მიხაილოვნა, გამარჯვებათ! (ართმევს ხელს).

სოფიო. გაგიმარჯოთ! თქვენ მუშაობა კიდეც დაგიწყვიათ. კარგია! იოსებ ზახარიჩი სადღაა? წავიდა?

ილია. რასაკვირველია! ამდონ ხანს რომ სახლში დარჩეს, მგონი ერთ დღესაც აღარ მიუშვან სამსახურში.

სოფიო. მამაც ეხლა წავიდა..-

ილია. მამა თქვენი, რაც უნდა იყვეს ცოტათი მაღლა სდგას იოსებზე დამსახურებულია. სტოლის უფროსი. დაბრძანდით. უკაცრაოდ, რომ ცოტა მირეულ მორეულია აქაურობა ბოდიშს ვიხდი თქვენთან.

სოფიო. არა უშავსრა. მე ისე... მიყვარს სურათები. ნამეტნავათ როდესაც ჰხატავთ. (უცქერის სურათს). მართლა ვერა მოუხერხეთ რა ამ სურათს?

ილია. საუბედუროდ, ვერა მოუხმრხე რა. არ ვიცი სწორედ რაუყო. ჩვენში მხატვრობა ჯერ

კიდევ ახალი ხილია, ამიტომაც ჯერ კიდევ შორს ურბის ხალხი ჩვენ ხელოვნებას.

სოფიო. იცით რას გეტყვით? თუ ვერავის იშოვნით მე გიშოვნით, მაგრამ არვიცი გამოდგება თუ არა?

ილია. სოფია მიხიილოვნა! თუ მაგისთანა სიკეთეს მიზავთ ერთი სიტყვით საუკუნოთ დამავალებთ. აგერ ორი თვეა ვხატავ და აბა რასა ჰგავს უთავო! თქვენ წარმოიდგინეთ ვისაგანაც დავხატე ისეთი მოყვანილი ტანი ჰქონდა რომ მეტი არ შეიძლება და ამასთან თეთრი რთგორც თოვლი თავზედ კი ერთი ბეწვიც არა ჰქონდა და ამასთანვე პირ ნაყვავილარი იყო. აბა ასეთ ტანს ქაჩალი თავი რომ არ მოუხდებოდა!

სოფიო. (სინჯავს სურათს). მართლაც და მშვენიერად არის დახატული.

ილია. ჯერ არც ტანია მთლად დასრულებული.

სოფიო. თქვენ წარმოიდგინეთ, ისრე მებრალებით, რომ მზათა ვარ თითო საათი გავჩერდე და მთგეხმაროთ, რომ ვიცოდე ჩემი სახე გამოგადგებათ ამ სურათისათვის.

ილია. ოჰ, ჩემო მხსნელო! თუ კი თქვენ მოინდომებთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მშვენიერება რამ იქნება!.

სოფიო. ერთი ეს კია, რომ იოსებ ზახარიჩი

სულ სხვა თვალით შეხედავს ჩემ თავის გამოდგებას, და ამიტომ არ მინდოდა რომ ვენახე...

ილია. ის სამ საათზედ მოდის და ჩემთვის კი დღეში ნახევარი საათიც საკმარია, რომ ოთხს დღეში მოვრჩე. ან და რაარის აქ საძრახისი? (ცცებ) აა! სულ დამავიწყდა, რომ ის თქვენი საქმროა! რასაკვირველია არ ესიამოვნება!

სოფიო. სრულებითაც არა, მე თავის დღეში არც ფიქრად მომსვლია, რომ ოდესმე ცოლად გავყვები მას. ერთი ეს მითხარით, რა კაცია ის, რომელიც ცოლს ანგარიშებით თხოულობს და არა სიყვარულით? ან რა სიკეთეში უნდა იყვეს მაგნაირ კაცის ცოლი? მე თუ ვიძახი, რომ მერიდება მეთქი ეს იმიტომ რომ... არა ვარ მე მოდელი მხატვრობისა და არც ამ ხელობით ვცხოვრობ. და რასაკვირველია ის სულ (დაბლა) სხვას გაიფიქრებს. თქვენვე არ იძახით, რომ მხატვრობა ახალი ხილიაო. მართლაც და ადვილი გასაბედი არ არის ქალი გულ-მკერდ ღია თმა გაწეწილი, ხან კიდევ ტიტველა იდგეს უცხო კაცთან და ახატვინოს თავის სახე, რომ მერმე გამოიფინოს გასასყიდათ. მაგრამ ჩემის აზრით კი აქ მორცხობა არაფერ შუაშია. დროა ჩვენშიაც აყვავდეს ხელოვნება ისე როგორც ევროპაში.

ილია. ნეტავი ყველა თქვენსაებ ფიქრობდეს. მაგრამ ერთი ეს მითხარით, ეს როგორ არის რომ ჩემს მეგობარს ძალიან იმედი აქვს თქვენის ხელისა.

სოფიო. ტყუილი იმედი ჰქონია! თუმცა დედა ჩემს რომ ჰკითხოთ ის უარს არ ეტყვის, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამგვარ საქმეში უპირატესობა მე მეკუთვნის და არა დედ-მამას. განა, ჩვენ ისეთივე უფლება არა გვაქვს საქმროების ამორჩევაში, როგორც თქვენ მამა კაცებს?

ილია (იქით) ლამის ჭკუიდან შეეიშალო. (იმათ) დიახ სოფია მიხაილოვნა! თქვენ მართალსა ბრძანებთ. დღეს ისეთი დროა როდესაც ყველანი განურჩეველად სქესისა და წოდებისა უნდა სარგებლობდნენ განუსაზღვრელი თავისუფლებით. ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ და ადამიანებისათვის თავისუფლება და სიტყვა ისეთივე აუცილებელია როგორც პური, სინათლე, წყალი ჰაერი და სხვა... ამისათვის მე თქვენ გეთანხმებით და სწორედ რომ სასიამოვნოა ვხედავდე თქვენისთანა შეხედულების ახალგაზრდა ქალებს რაც შეიძლება მეტს.

სოფიო. გმადლობთ ქებისათვის და აბა ნულარ მოსცდებით ისარგებლეთ და თუ ვივარგებ გადამხატეთ... დიახ მე თქვენ სრულებით ისრე არ გიცქერით როგორც იოსებ ზახარიჩს. მე ყოველთვის თამამად ვგრძნობ თავს, როდესაც თქვენთან ვბაასობ.., დროს ნულარ დავკარგავთ მითხარით როგორ დავდგე.

ილია. (აღტაცებით) თქვენ სწორედ ღვთაება ხართ სოფია მიხაილოვნა... წარმოიდგინეთ, რომ

დღემდე სულ სხვა თვალით უცქეროდი ქალებს და დღეს კი თქვენის შემწეობით ვსცვლი ჩემს შეხედულებას (სოფიო იცინის). რას იცინით? არ გჯერავთ? გეფიცებით პატიოსნებას. აბა აი აქეთ დადექით.., მხოლოდ არვიცი...

სოფიო. (აწყვეტინებს). ნუ სწუხართ, ნუ მომერიდებით მითხარით როგორც საჭიროა ისრე დავდგები.

ილია. ერთი ეს მითხარით სოფია მიხაილოვნა? ესევე მოიქცეოდით სხვა მხატვრის წინაშე? იცოდეთ მართალი მიპასუხეთ თქვენ თავის დღეშა სიცრუვე არ გიყვართ.

სოფიო. მე თავის დღეში არ მითქვამს სიცრუვე და რაც შეეხება თქვენს კითხვას გთხოვთ ჯერ-ჯეროობით უპასუხო დარჩეს (თავს დახრის).

ილია. (იქით) არა ვსთქვი, რომ მე კი მაყივლია მეთქი? (იმას სიხარულით) კეთილი! აბა გეტყვით ეხლა! ისე უნდა დადგეთ, რომ მკერდი გიჩანდეთ და თმაც გაიშალეთ...

სოფიო. კარგი! მაშ საჭიროა კოფტის გახსნა (იხდის კოფტას შლის თმას). აბა.

ილია. კარგი: აი სავარცხელი დაივარცხნეთ (ივარცხნის). ორთავ ხელები გულზედ დაიდევით და თვალები ზეცას მიაპყარით ვითომ ეეედრებით რასმეს. (დგება). ჰო ეგრე... მშვენიერებაა. უკაცრავათ ცოტა

თმები წინ გადმოიშალეთ (უსწორებს) დავიწვი, ეს რა მომდის!

სოფიო. რას ბუტბუტებთ?

ილია. არაფერს!

სოფიო. როგორ არა! რათა სტყუით?

ილია. სოფია მიხაილოვნა! თავს ბრუ მესხმის, როდესაც ასრე გაბედულს თავს განწირულს გხედავთ, მით უმეტეს, რომ თქვენ არა ხართ უბრალო მოდელი მხატვრებისა, და ისინიც როგორც ნასყიდ ნიეთს გულ-ცივად ეპყრობიან. დარწმუნებული იყავით, რომ მე თქვენი სასყიდლით დაკმაყოფილება არ შემიძლიან.

სოფიო. არც მე ვთხოულობ სასყიდელს! ნუ ჰკარგავთ დროს დაიწყეთ.

ილია- (იღებს პოლიტრას და კისტს). ვიწყობ. აბა არ გაინძრეთ (პაუზა ხატავს იქით) ეს რა მომდის? ხელები მიკანკალებს (ხატავს დიდხანს) ხომ არ დაიღალეთ, გნებავთ დაისვენეთ.

სოფიო. განაგრძეთ ბატონო! მე შემიძლიან 3 საათიც გავჩერდე ასე.

ილია. გმადლობთ! (ხატავს) სოფია მიხაილოვნა როგორ მოიქცეოდით, ეხლა რომ იოსები შემოვიდეს.

სოფიო. პოზას არ შეეიცვლიდი! ყველაფერი მორჩა.

ილია. მე კი ასე მგონია, რომ ამ სურათის მნახველი ის სულ გადირეოდა...

სოფიო. ტყუილად გგონიათ მაგრე. მაგ გვარ კაცებს ეჰვას ადგილი ურცხობისათვის ააქვთ დათმობილი. და თქვენ ძალიან სცდებით რომ მას მაგგვარ კაცად იცნობთ.

ილია. (შერცხვენილი) სრულებითაც არ.-. მაგრამ იმას კი რომ ჰკითხოთ...

სოფიო. (აწყვეტინებს) არაფერი არა ესმის რა დიახ, არაფერი! განაგრძეთ დროს ნუ ჰკარგავთ.

ილია. უკაცრავად, აი ეხლავე (ხატავს დიდი პაუზა) თქვენ წარმოიდგინეთ! ისეთი ძალა არასოდეს არ მიგრძვნია როგორც ეხლა. ხვალ სულ მზათ იქნება ჩემი სურათი და უნდა დაგარწმუნოთ, რომ დაუფასებელი, რამ იქნება. რასაკვირველია თქვენის წყალობით.

სოფიო. სრულებითაც არა! თქვენ თუ არ იმეცადინოთ და არა ხატოთ მე რომ 3 წელიწადიც ასრე ვიდგე თავისით არა დაიხატებარა.

ილია. ნურც ეს დაგავიწყდებათ, რომ თქვენ რომ აქ არიდგეთ 3 ათი წელიც რომ ვხატო, ვერც თქვენ აჩრდილს მივამგზავსებ.

სოფიო. (სიცილით). ჰო, თუ რომ ასე ვილაპარაკეთ...

ილია. უკაცრავად... მომიტევეთ.. მე დღეს, რალაც კაჭკაჭს დავემგზავსე. ეხლა კი ხმას აღარ ამოვიღებ (ხატავს ჩაკვირვებით პაუზა) ბასტა! დღეისათვის კმარა! ერთი სეანსიც და სურათი მზათ იქნება... თავისუფალი ბრძანდებით.

სოფიო. (იცვამს კოფთას და თმას ისწორებს) ძალიან კარგია (უცქერის სურათს) ქებათ კიარ მიიღოთ ილია არსენიევიჩ! და თქვენ თუ ასრე ხატეთ მალე გამოჩენილი მხატვარი შეიქნებით.

ილია. კიდევ ვიმეორებ, რომ თქვენის წყალობით.

სოფიო. ეგ სულ ერთია მე ამას ვამბობ რომ თქვენ მალე სახელს მოიხვეჭთ.

ილია. სოფიო მიხაილოვნა! რითი შემიძლიან გარდაგიხადოთ პატივის ცემა, მე სწორეთ ჩემ თავს შეუძლოთ ვრაცხ.

სოფიო. სცდებით: შეგიძლიანთ, და ძალიან ადვილათაც თუ კი მოინდომებთ ნახვამდის (ართმევს ხელს).

ილია. რითი?

სოფიო. (ხელს მაგრა მოუჭერს) ერთის სიტყვით.. სიყვარულით... გაიგეთ? ნახვამდის (გავარდება საჩქაროთ).

ილია. (მარტო დიდხანს ჩაფიქებული) აი ეხლა კი ჩავარდი საგონებელში! თუმცა კი ვატყობდი, რომ ეს ასე მოხდებოდა მაგრამ არც ამას წარმოვიდგენდი თუ ას მალე მოტრიალდებოდა ჩარხი. (გაივლის) მერე ჩემი იოსები? იმისი პლანები? ხომ სულ ჩაიფუშნენ? (გაივლის) თუმცა იოსები საქები უჭაწვილი არ არის, მაგრამ მაინც ერთის ჭირი მეორეს არ უნდა ახარებდეს. ეს თითქმის ცოცხლივ დამარხვა იქნება იოსებისა. (გაივლის) არა ეს შეუძლებელია! (ფიქრობს)

მაგრამ ეს კი შესაძლებელია რომ ახალგაზდა ქალი, შენ თავს გწირავს თითქმის ტიტველი გიდგას წინ, რა არის შენი ხელოვნება დაფასდეს, ნიჭი აღფრთოვანდეს და სასყიდლის ნაცვლად, სიყვარულით შეგიძლია გარდამიხადოვო, განა ამის უარის ყოფა კი შესაძლებელია?! სიყვარული? ეს ისეთი ძალაა რომელიც ანგრევს მთელ სახემწიფოებს, ამაღლებს კაცის გონებას და აგრეთვე შეუძლიან დასცეს კიდევაც. დიახ, სიყვარული ეს თითქმის მთელი ცხოვრებაა! მოსპე სიყვარული, მოისპობა ცხოვრებაც. ან როგორ უნდა ვეწინააღმდეგო, როდესაც ეხლა მე ჩემს თავს ველარა ვგრძნობ ჩემათ, ისე მომხიბლა, მაგის ქცევამ და სიტყვებმა. არა, მე მაგას არავის დაუთმობ. მეტი ღონე არ არსს, უნდა მსხვერპლი შეიწიროს ან მე ან იოსები (გაივლის). ვნახოთ ისიც ეხლაევ მოვა (მივა სურათთან და დაკვირვებით ჩასცქერის).

გამოსვლა 7-დე.

ილია და იოსები.

იოსები. (შემოღის მხიარული). ბიჭოს რატო ეგრე ჩაკვირვებული ჩასცქერი მაგ შენ უთავო სურათს? იქნება თავი უპოვნე? (პორთფელს სტოლზე ხდებს.) რო იცოდე რა უნდა გახარო?

ილია. რა მოხდა? კიდევ ხომ არ მოასწრეს

თქვენ უფროს ზვერსკის სხვის ცოლის საწოლში. ეგ საზოგადოთ იმის ჩვეულებაა, იმას ძალიან უყვარს თავის მოხელეების რქების გამობმა.

იოსები. რას ოხრობ, ნეტავი ვიცოდე? რას დავეძებ ვის ცოლთანაც მოასწრობენ? მე ჩემ საქმეზედ უნდა გახარო.

ილია. აბა ჩემო ჭკუის კოლოფო რას მეტყვი. ყურს გიგდებ.

იოსები. მიხაილ გრიგორიჩს ამ ოცისათვის ხუთი მანეთი წარმატებით წარუდგენივარ. ეხლა ოცდა ხუთი მექნება... ნამდვილი კაცია სწორეთ... ნამდვილი!.. (გაივლის) ახ ეგ ოხერი რომ არა სვამდეს ნამდვილი გამოსადეგია. (ჩაფიქრებით). ეხლა კი საქმე გაიჩარხა, უსათუოდ ხელი უნდა ვსთხოვო მაგის ქალსა. მე დარწმუნებული ვარ რომ მალე დავწინაურდები (ჩამოჯდება კუშეტკაზედ).

ილია. (იქით) აი ეხლაა სეირი! ეს ზეცაში პლანებს აწყობს, სოფიოს კი სხვა უყვარს. უთხრა ეხლავე? არა ჯერ არ ვეტყვი! (იმას.) სწორეთ მითხარი იოსებ თქვენი ზვერსკი რომ ნახო სოფიოს საწოლში რას ეტყოდი.

იოსები. რას მიჰქარავ მაგას როგორ გაჰბედავს.

ილია. ან რა დაუშლის? ეს ხომ წესადა ააქვს. რამდენ მოხელეს გაჰყვა მეჯვარედ, მეტადრე თუ ლამაზი საცოლე ჰყავს! მერმე კი ხომ იცი...

იოსები. ნუ მიჰქარავ მეთქი! შენ მაგ ბოდვას

გირჩევ დაანებე ამ ჯლაბნას თავი და შემოდი ჩვენთან.

ილია. როგორ? განა ამდენ ტანჯვას და სიმშილს იმიტომ ვიტან, რომ მივაგდო კუთხეში ის, რაც ასე ღრმათა მრწამს. და ვეტრფი? მერე რისთვის? ორ კაპეიკიან კაკარდაზე ხელოვნება გავსცვალო? არა ძამიავ! ჯერ ენახო შენ სადამდინ ივლი მაგ ოცნებობით და მერე მე მირჩიე!

იოსები. შენ კი რაფაელს უკან ჩამოირჩენ შენ მა მზემ. ხომ ხედავ, რომ ზედაც არავინ უყურებს შენ ნაჯლაბნებს.

ილია. მაინც გამოფიტულ, ცოცხალ მანქანათ არ ვიქცევი და ამით ჩემ თავ მოყვარეობას ზედ არავის გადავაქელვინებ. აეთრიე კარგი. წავიდეთ ვისადილოთ.

იოსები. მე დღეს არ მოვდივარ.

ილია. რატომ?

იოსები. იმიტომ, რომ ვისადილე.

ილია. შენი სახე და თვალები კი ამტკიცებენ რომ მოხარშულ მგელსაც კარგათ მიაძღები.

იოსები. არა შენ რომელი მკითხავი ხარ?

ილია. არა გრცხვენიან წარჩინებულო ჩინოვნიკო, რომ ეგოისტობაც დაიწყე? ეხლა როცა ჯამაგირი მოგიმატეს? არა, მე რას მიმალავ, რომ ფული არა გაქვს. მე არ ვიცი? ემაგას მეუბნები სამსახურში შემოდიო? ადე აეთრიე! დღეის

სამყოფი მე მაქვს და ხვალე ხომ ოცია, მაშინ შენც გექნება.

იოსები. (ადგება) მაშ ხვალ გავსწორდებით სულ ერთია!

ილია. გასწორება რომელია! დღეს მე მაქვს ხვალე შენ გექნება. ეხლა დაიწყე ანგარიშების სწორება. გასწი რალასა დგეხარ? გასწი საქმეცა მაქვს შენთან (ხელსა ჰკრავს) გაჰყვება თითონაც.

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მეოთხე.

სცენის მოწყობილობა იგივე გარდა იოსების კუშეტკისა და სტოლის. ილიას კუშეტკა ზდბას იოსების კუშეტკის ადგილზე. ილია პირქვეა წამოწოლილი ფარდა აიხდება. პაუზა. მერე წამოდგება და ზის კუშეტკაზე.

გამოსელა 1-ლი.

ილია. (მარტო) არ ვიცი რავქნა? ლამის მეტის ფიქრისაგან თავი გამისქდეს. როგორ მოვაგვარო საქმე არვიცი! იოსებიც შემომწყრა, გამეყარა, მაგრამ ეს არაფერია არც თუ ღირს იმაზე ლაპარაკი, იმისაგან უკეთეს ვერას მოველოდი. მაგრამ საბრალო მიხაილ გრიგორიჩის საქმე კი სამწუხაროა. დაითხოვეს ამდენი ხნის ნამსახური კაცი ლოთობის გამო. უფრო კი მგონი იმიტომ, რომ მის ცოლს ელენე გავრიილოვნას სახე თანდათან ეჭმაჭება. ამიტომაც იოსებმა თვითონვე გაანება სოფია მიხაილოვნას ცოლათ შერთვას თავი; თუმცა დარწმუნებული კი ვიყავ რომ ეცადნა უარს მიიღებდა. ელენა გავრიილოვნას იმედიც გაუცრუვდა. ველარ ეღირსა კაკარდიან სიძეს. მთელი ოჯახი გასაჭირ მდგომარეობაშია. ეხლა თითქმის ჩემზედაა დამოკიდებული მათი ბედ-იღბალი. მაგრამ არ ვიცი რა წყალში ჩავარდე. ამოდენა სურათები მაქვს და არც ერთი არ მეყიდება. იქნება მართლა ყურადღების ღირსნი არ არიან? ხანდისხან ისეთი ჯავრი მომივლის ხოლმე, რომ მზათა ვარ

ერთ საათს მივეფხრიწო, მაგრამ მაშინათვე რაღაც იდუმალი იმედი ყურში ჩაეჩურჩულებს ნუ დახევ გამოგადგებაო. (ჩაუფიქრდება ადგება) ერთი გროშიც არ მიჭყავის ჯიბეში, აღარც თუ მარტო ვგრძნობ თავს და ეს უფრო მიკლავს გულს. სოფია მიხაილოვნას დიდი წარმოდგენა აქვს ჩემზედ და ეს არ შემიძლიან გაუმართლო. საბრალო სწორეთ ანგელოზია! ანგელოზი კი არა უფრო მეტიც. (ხმა მაღლა) ნამდვილი გმირია! ის რომ არ მამხნევებდეს აქნობამდის რასმეს ავიტეხდი. ოჰ იოსებ, იოსებ! შენ ვერ იცანი ჰეშმარიტება! შენ გინდოდა გეთხოვნა სოფია მიხაილოვნა მარტო ანგარიშით და არა წმინდა სიყვარულით, შენ არახარ ღირსი იმისი სახელის ხსენებისა, რომლის აჩრდილსაც მკვდარიც კი შეუძლიან გააცოცხლოს, მხეცი მოაშინაუროს, გიჟი მოაჭკვიანოს დიახ! არა ხარ ღირსი! მოვა დრო რომ ინანებ, მაგრამ გვიანლა იქნება (ჩაფიქრდება დაჯდება სკამზე სტოლთან) ეს ყველა კარგი ის ბებერი გლახა დედაკაცი მოვა დღეს. სურათს ვათავებ და ფული კი არა მაქვს მივცე. (ერთბაშათ წამოდგება.) მაგრამ აკადემიკი რჟიცკი შემპირდა შემოვივლი და თუ მომეწონება ვიყიდი სურათებსაო. ვნახოთ იქნება ღმერთი გაუწყრეს! (ისმის გარედგან ხმა).

ხმა. ხომ არ გძინავს ბატონო მხატვარო!

ილია. აგერ ის გლახა დედაკაცი მოვიდა (გადიცვამს ხალათს) შემოდი დედი რა დროს ძილია!

(შემოდის მატრონა პარკი პურის ნაპრეებით ზურგზე ჰკიდია ჯოხით ხელში დაკონკილი ტანისამოსი).

გამოსვლა 2-რე.

ილია და მატრონა.

მატრონა. დილა მშვიდობისად ბატონო.

ილია. გაგიმარჯოს დედი! არ გითხარი ბატონოს ნუ მეძახი მეთქი? ჩამოჯექი.

მატრონა. (ჯდება პარკს იქვე ზდებს) ეჰ მაშ რა დაგიძახოთ თუ არა ბატონო. ჩემი ტოლი ხომ არა ხართ, რომ უბრალოთ მოგეგცეთ? ექიმები ცოცხალ ადამიანს საიქიოსკენ გზავნიან, თქვენ კი რალაცა საღებავებით ტილოზედ ცოცხალს ადამიანებს ჰხატავთ. (უცქერის სურათს) ერთი შეხედე აი იმ ქალის სურათს. გენაცვათ თითქოს ნამდვილი ცოცხალიაო! მაგრამ ეს კი ვერ კარგი რომ ტიტველათ გადაგახატვინათ თავის სურათი (სიცილით) ბატონო მხატვარო!

ილია. კიდევ ბატონო?

მატრონა. კარგი, კარგი! მხატვარო. როცა ასეთ ლამაზ ქალებს ხატავთ ტიტვლიკანებს, ტანში ჟრუანტელი არ მოგდით ხოლმე? სწორეთა სთქვით.

ილია. (ღიმილით) სრულებითაც არა! ან რათ უნდა მომივიდეს ჟრუანტელი..

მატრონა. არა, სტყუით! ასი წლის კაცსაც კი

აიტანს კანკალი ემაგნაირ ქალის დანახვაზედ, არამც თუ ახალგაზდებს. (ამოიოხრებს).

ილია. რას ამოიოხრეთ? თქვენი წარსული დრო ხომ არ მოგაგონდათ?

მატრონა. ეხ, შვილო! როგორ თუ არ მომაგონდა? როგორ გგონიათ ნუთუ დაბადებითვე დამყვა ეს საცოდავი პარკი, პურის ნამტვრევების მოსაგროვი? (ცრემლები ერევა) რომ იცოდეთ ოთხი შვილის დედა ვარ და მეკი კარ-და-კარ დავწანწალებ და ხელს ვუშვერ მადა გაფუქებულ ბატონებს, მომაწოდონ ძაღლებისათვის გადასაყრელი ლუკმები რომ სიმშილით სული არსად ამომძვრეს, თუმცა-კი სიკვდილი ასჯერ სჯობია ასეთ სიცოცხლეს მაგრამ...

ილია. მაგრამ რა? ნუთუ ცოცხლები გყავთ შვილები?

მატრონა. უბედურებაც ეგ არის, რომ ცოცხლები არიან!

ილია. ღმერთო ჩემო! და მერე როგორ მიგიშვეს ამ დრომდე? ქალებია თუ ვაჟები?

მატრონა. სამი ვაჟია და ერთი ქალი!

ილია. მე არა გამეგებარა! სამი ვაჟი და ერთი ქალი და დედა კი სამათხოვროთ გაგზავნეს ქუჩაში!

ნატრონა. ჩემა ილბალმა ასე იმუშავა და რას ვიზამ. აი შვილო თუ გეინტერესებათ ღაიწყეთ ხატვა და ჩემს ისტორიას მოკლეთ მოგახსენებთ.

ილია. როგორ თუ მეინტერესება! ძალიან გასაოცარია, რასაც თქვენ ლაპარაკობთ. თუ

ღმერთი გწამთ მითხარით მეც ეხლავ მოვამზადებ სახატავს (აწყობს სურათს სახატავათ მერე შეუდგები ხატვას).

მატრონა. ამ შვიდის წლის წინეთ, როდესაც ჩემი ცხონებული ქმარი ჯერ ისევ ცოცხალი იყო. ვცხოვრობდით ერთ სამაზრო ქალაქში, თუმცა არც ისე მდიდრულათ მაგრამ, რომ იტყვიან არც ქვა გვაკლდა და არც კაკალი. ქალი ჩემი მოუკვდეს იმას დედა გიმნაზიაში სწავლობდა და უნდა გითხრათ სულ ქებით გადადიოდა კლასიდან კლასში. ორი ვაჟი რეალურ სასწავლებელში. მესამე ვაჟი კი მამას ეხმარებოდა რადგანაც რკინის გზის ფოდრათებს იღებდა ხოლმე. ერთი წლის შემდეგ ორმა ვაჟმა სწავლა დაამთავრეს და პირდაპირ სამსახურში შევიდნენ.

ილია. უნივერსიტეტში არ შესულან?

მატრონა. არა ბატონო!

ილია. კიდევ ბატონო! თუ ღმერთი გწადეთ ნულარ გამაგონებთ მაგ სახელს.

მატრონა. კარგი ბ-ნო... ფუი! რავქნა შვილო შევეჩვიე მაგ სახელის ძახილს. ჰო ერთი რკინის გზის სამართველოში შევიდა, მეორე გუბერნატორის კანცელარიაში. სამი წლის შემდეგ როდესაც ათავებდა ჩემი უბედური ქალი. გაიცნო ერთმა აფიცერმა შავდა უკულმა ის საათი. შეჰპირებოდა სიყვარულს და ცოლათ შერთვას, იმდენი ეცადა, როგორც მოგეხსენებათ სამხედრო ხალხის აღვირ

წახსნილი სინდისი. თავისი შეისრულა და მოახერხა სხვა პოლკში გადაყვანა. სამი თვის შემდეგ ჩემა უბედურმა მიიღო წერილი, რომელშიაც ეწერა. რომ ყველა შენისთანები რომ ცოლათ შევირთო შახსაც არ ეყოლება იმდენი ცოლიო. ჩვენ არა ვიცოდით-რა. ერთ მშვენიერ დღეს, გაშავდეს ის დღე ჩემი ქალი დაიკარგა. ერთი თვის ძებნის შემდეგ მივიღეთ წერილი გვწერდა, რომ მე ტყვილად ნუ მეძებთ. მე რომ ცოცხლათ არ ჩამთვალოთ ის გირჩევნიათო. ჩემი თავი გავიუპატიურე და ამისთვის სახლში ვეღარ გეჩვენებით სირცხვილითო. მოგვწერა აგრეთვე ვინაობა იმ აფიცრისა.

ილია. მერე?

მატრონა. ერთი წელიწადი თურმე ადგილზე დამდგარიყო. შემდეგ ერთ ფაქტორ ურიას, მოტყუებით წამოეყვანა აქეთ საზოგადო სახლში გაეყიდნა ათ თუმნათ.

ილია. იქნება აქ იყოს სადმე? მაშ შერჩა აფიცერს ჰა?

მატრონა. ვერა შვილო! ჩემმა ქმარმა იდარდა და ერთ დღეს ელდა შემოაწვა და მოკვდა. ჩემმა პატარა შვილმა თავი გამოიდო და იმდენი ეცადა რომ ის აფიცერი იპოვნა და მოჰკლა!

ილია. ყოჩაღ ბიჭო! აი მაგას ჰქვიან ნამდვილი გადახდა.

მიტრონა. დიახ ყოჩაღ! დედა ენაცვალოს იმას მაგრამ სულითაც და ხორცითაც მთლათ დამიკარგეს.

ილია. როგორ თუ დაგიკარგეს?

მატრონა. 15 წლით კატორგაში გაგზავნეს. იმ ორმა შვილმა კიდევ კარგი ადგილები და ჩინები მიიღეს, ცოლები შეირთეს და მე კი გამომაგდეს. რალა მექნა, დავრჩი ულუკმო პუროთ და აი ესე დავწანწალებ ოთხი შვილის დედა. დაიწყე შვილო თან ხატვა აი დავდგები როგორც რიგია. (ადგება პარკს წამოიკიდებს იმ ხელითვე ჯოხს დაიჭერს და მეორე ხელს გაიშვერს სათხოვნელათ ილია ხატავს და შემდეგ).

ილიმ. სწორედ რომ სამწუხაროა!

მატრონა. მარა ჯანდაბა! რალა სიცოცხლეა ეხლა ჩემი ყოფა. მაგრამ ის იმედი მაქვს კიდევ, რომ სადმე უნდა ვნახო, ჩემი ქალი. მარტო იმის ნახვისათვისლა ვცხოვრობ. ეხლა გავიგე რომ ამ ქალაქში უნდა იყოს მგონი საზოგადო სახლში. ვერა მომიხერხებია რა, რომ შევიტყო რომელშია. გასწყდეს მაგათი მოვაჭრეები! თითქმის თხუთმეტი სახლია და აბა როგორ ვიპოვო.

ილია. (ფიქრის შემდეგ) რა ჰქვიან? ან სახეზედ ნიშანი არა აქვს-რა?

მატრონა. სახელათ ლიზა ჰქვიან, მარჯვენა ლოყაზე დიდი ხალი აქვს, თვალები ცის ფერი და ნიკაპი ცოტა მომწვეტო.

ილია. სახეზედ დიდი ხალი ააქვს?

მატრონა. დიახ დიდი ხალი (ჰხატავს პაუზა).

ილია. მერე ძრიელ გინდა ნახვა?

მატრონა. წელან რა გითხარით. მარტო იმისა-

თვისა ვსცოცხლობ რომ ისა ვნახო. იქნება როგორმე გაანებოს იმ სამარცხვინო ხელობას თავი და იმედიცა მაქვს რომ თუ ვიპოვნე ისევ ჩემი ლიზიკო დადგება. ჩემ სიგლახავეში სამოც თუმნამდე შეეაგროვე იმისათვის ვინახავ.

ილია. საბრალო დედავ! გაქვს იმედი და ნურც დაიკარგავ, თუ აქ არის მართლა, უსათუოთ იპოვნი. ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობას მივიღებ მეც, რომ რაც შეიძლება მალე ვიპოვნო.

მატრონა. თუ კი მაგ სიკეთეს მიზავთ, მთელ ჩემ სიცოცხლეში თქვენ იქნებით ჩემი სალოცველი ხატი. აბა შვილო ხატეთ, ისრედაც გაცდენთ.

ილია. არა უშავს რა. ამ სურათს არ გავყიდი დედი! როდესაც თქვენ ქალს იპოვნით საჩუქრად თქვენ მოგცემთ. (ხატავს).

ხმა გარედგან. ბატონო მხატვარო შეიძლება?

ილია. (წამოხტება კარებს აღებს) გრცხვენოდეთ სოფია მიხაილოვნა შეიძლება! თითქოს მინისტრის კარებს აბრახუნებდეთ.

გამოსვლა 3-მე.

იგინივე და სოფია მიხაილოვნა.

სოფია. გამარჯობათ. ოჰო! მუშაობთ? ეს კი ყოჩალთ! ოჰ დედა მატრონა გამარჯობათ (ხელს

ართმევს) როგორა ხართ? ხომ ყოჩაღათა ხარ ჰა!

მატრონა. გმადლობთ ჩემო ცუგრუმელავ! არა მიშავსრა.

სოფია. (მივა სურათთან) ბიჭოს! გაგითავებიათ კიდეცა. ღმერთო ჩემო ნამდვილი ცოცხალია. ილია არსენიევიჩ მალე, ძალიან მალე, თქვენი ნიჭი დაფასდება.

ილია. მარტო თქვენ! სოფია მიხაილოვნა, მარტო თქვენ აფასებთ; დიდი მოხარული ვარ რომ თქვენ მაინც არის თანამიგრძნობთ.

სოფია. ხომ არ დაგიშლით?

ილია. (ადგება) რასა ბრძანებთ! თუ რამ შემიძლიან ეხლა შემეტყობა, როდესაც თქვენ ჩემი გვერდითა ხართ.

მატრონა. (იქით) ვინ იცის ის შეჩვენებული აფიცერიც ესრე ეუბნებოდა ჩემ საცოდავ ლიზიკოს.

ილია. მიხაილ გრიგორიჩი როგორ არის გუშინ ძალიან გაჯავრებული იყო. ნასვამიც იყო მგონი.

სოფია. დღეს ნაბახურევია მაგრამ არა უშავს რა. ცოტა არ იყოს დედა ეკინკლავება, მაგრამ მალე შევარიგებ ხოლმე.

ილია. თქვენ წაჩხუბებულს ვეფხვ-ლომსაც მოარიგებთ არამც თუ დედმამას (ხატავს).

მატრონა. (იქით) ნამდვილათ ესრე ეტყოდა ისიც (ცრემლები ერევა).

ილია. ესეც ესე! ეხლა კი თავისუფალი ხართ დედი!

სოფია. (უცქერის სურათს) მშვენიერებაა! აბა ნახე მატრონა! (მატრონა უცქერის სურათს)

მატრონა. ღმერთმა მეტი შნო მოგცეს შვილო! ესე ცოცხლათ როგორ დამხატეთ. ვაი ჩემი ბრალიც, როგორი დაღრეჯილი სახე მქონია, როცა მოწყალებას ვითხოვ ხოლმე (ტრემლები ერეკა).

სოფიო. დედა მატრონა, რათა სტირით?

მატრონა. არაფერს ჩემო ცუგრუმელავ, ისე თვალები მტკივა. (იწმენდავს)

ილია. სოფია მიხაილოვნა! დღეს ისეთი ანბავი გავიგე რომ ამოდენა ჩემს ვარამს კიდევ ერთი სევდა მოემატა.

სოფიო. რა ამბავია? რა მოხდა?

ილია. არა ფერი... მაგრამ გეტყვით. მერმე გეტყვით, საჭიროა რომ თქვენც იცოდეთ. ეხლა კი მატრონა თქვენ ვინ იცის საუზმე არ გიჭამიათ. კარგი იქნებოდა რომ გესაუზმათ. (იქით) ერთი გროშიკი არა მაქვს (იუობს ჯიბეში სელებს არაფერია, მერმე ეძებს ჰალტოს ჯიბეში არაფერია, ამ ძებნას სოფიო თვალს ადევნებს) აქ მოითმინეთ მე ეხლავე მოვალ. (ჰალტოს იცვამს) ცოტა კალბას და კვერცხებს ძოვიტან, და შევნაყრდეთ.—თქვენც ხომ დაგვეწვევით სოფია მიხაილოვნა?

სოფია. რატომ, დიდის სიამოვნებით!

მატრონა. მადლობელი ვარ შვილო, მე წავალ ეხლა!

სოფია. არა მოითმინეთ! სად უნდა წახვიდეთ?— მართლა ილია არსენიევიჩ! იმ დღეს რომ დედას ფული ასესხეთ გამომატანა და კირალამ ლაპარაკში დამავიწყდა (ილებს ჯიბიდან ფულს აძლევს! ილია გაშტერებული შესცქერის არ ართმევს. სოფია ანიშნებს რომ გამოართვას)

ილია. ვინ ატანდა ძალას, ეგებ მოგინდეთ, წაიღეთ ისევ უკან.

სოფია. მოგვინდება და აქ არა ხართ? ველარ გამოგართმევთ? აიღეთ! არ იღებთ? (ძალათ ჯიბეში ჩაუდებს) ნ. სესხები უნდა მიეცეს. აბა ეხლაკი დატრიალდით.

ილია. (იქით) ჩემ სიცოცხლეში ამის მეტათ არ მიცრუვნია და არც ასე შემრცხვენია. ეხლავე მოვალ.

სოფია. აბა გიცდით. (ილია გადის)

გამოსელა მე-4

სოფია და მატრონა.

მატრონა. კარგი გულისაა ეს ჩვენი მხატვარი. უნდა გითხრა, რომ ამისთანა მეზობელთან, კაცი არ მოიწყენს.

სოფია. მითომ? (უცქერის)

მატრონა. (თვალებში შესცქერის) მითომ კი არა და მართლა! თუ არ ვცდები ამნაირი ყმაწვილი კაცები ძალიან ცოტანი არიან ჩვენში, არა ჰგავს ზოგიერთა ქარაფშუტებს, მეტადრე აფიცრებს.

სოფია. მართლა, სანამ კვერცხებს მოიტანდეს, მანამდის ჩვენ წყალი ავადულოთ. აი ნავთის ქურაც! (ანთებს ქურას, შეესდგამს პატარა ქვაბს, ჩასხამს წყალს)

მატრონა. უნდა კი გითხრათ ჩემო ცუგრუმელავ, რომ ძალიან კი შეეწყობით, თქვენ რომ ერთმანეთისა გახდეთ, შენ ყოჩალი, მარდი, ესეც ყოჩალი, ჭკვიანი. სწორედ მტრედებივით იცხოვრებთ. თუ ცოტა ფულიცა ააქვს ხომ უკეთესი.

სოფია. რომ არა ქონდეს, მაშინ?

მატრონა. არა მე ვამბობ თუ აქვს რამე მეთქი მაგრამ ეს არც უქონრობით არის დასაწუნი. მე როგორც გატყობთ (ღიმიდიდ) თქვენი სული და გული უნდა ძალიან დაახლოებული იყვეს. მაგ-

რამ ეცადე ჩემო ცუგრუმელავ არ მოსტყუვდე. ეჰ! (ამოიოხრებს) ქვეყანაზედ ბევრი სისაძაგლე ხდება. ჯერ კურკური, კურკური, მერმე კი (ცხვირზე სელს მიიდებს და უჩვენებს) აი ასე უჩვენებენ. ღმერთმა კი ნუ ჰქნას; წელანაც გითხარი, ჩვენი მხატვარი იმ გვარ კაცებს არა ჰგავს მეთქი. კაცს შუბლზედ ეტყობა რა სწადიან, სისაძგლე თუ სიკეთე.

სოფია. მეც ასე ვფიქრობ და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ეს არ უნდა ჰგავდეს ახალ მოდის ფრანტებს.

გამოსვლა 5.

იგინივე და ილია.

(შემოდის შემოაქვს კვერცხები, კალბასი, ბური და ორი ბოთლი ბიგ.) ოჰო! თქვენ ქვაბი უკვე მოგიმზადებიათ?

მატრონა. განა ჩვენი ცუგრუმელა მოისვენებს, რომ კაცს არ მოეხმაროს.

ილია. (აწყობს სტოლზე) გმადლობთ სოფია მიხაილოვნა, გმადლობთ! მე ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ თქვენს ჩემდამი თანაგრძნობას.

მატრონა. მოიტა შვილო მეც გიშველით.

სოფია. არა მატრონა, თქვენ იჯექით. ეხლავ მოვხარშავ. (აწყობს ქვაბში კვერცხებს)

ილია. (იქით) მეტი მოთმენა არ შემიძლიან, ან

უნდა გადავიკარგო სადმე, ან უნდა ერთათ ვიცხოვროო,

სოფია. ილია არსენიევიჩ! რასა ბუტბუტებთ?

ილია არაფერს ჩემო... უკაცრავათ სოფია მიხაილოვნა! ერთს მეგობარს ვიგონებდი.

სოფია. (მხიარულად შესტქერის) ვის? მე არ ვიცნობ?

ილია. არა მგონია! ერთათ ვსწავლობდით. იმასაც ჩემსავით არა ვინა ჰყავს. თუმცა სიმდიდრე აქვს, მაგრამ ერთი უპატიოსნესი ამხანაგი და მეგობარია ჩემი. ნიკალაი პეტროვიჩი დიბროვი. ჩემი კოლია, ისიც მხატვარია. ეხლა სამზღვარ გარეთ არის და ამ დღებში წერილი მივიღე, რომ მოვა აქ. იწერება პირდაპირ შენთან ჩამოვხტებიო. და უნდა გითხრათ, რომ სწორეთ კარგ გრძნობებზედ მომაგონდა.

მატრონა. თუ თოხლოთ გინდათ, ეყოფა ხარშვა.

სოფია. მართლაც ეყოფა კიდეც. (ამოიღებს კვერცხებს) თებში არა გაქვთ ილია არსენიევიჩ?

ილია. როგორ არა! მაგრამ არა იოსებმა წაღო.

მატრონა. არა უშავს რა, ისედაც იოლად წავალთ.

ილია. ბარემ კი კარგი იყო, რომ ყოფილიყო, მაგრამ ესეც არის რომ აღარ მომგონებია, რომ

მეყიდნა. არც ისე ძვირია (იქით) ჰო, დღეს საუზმის ფულიც, სოფია მიხაილოვნამ მომცა. ეს კი ნამეტანია! სწორეთ რომ სასიძაგლეა ჩემის მხრით, მაგრამ ერთს ასათ გადაუხდი.

სოფია. აბა დასხედით.

ილია ხათაბალაა! ორი სკამია მეორე კი ჯანდაბას არის.

სოფია სტოლი კუშეტკასთან მივიტანოთ.

მატრონა. მაშინ ერთი სკამი, მოგვემატება კიდეც.

ილია. როგორ?

მატრონა. აბა ჯერ მოიტანეთ, მერმე გეტყვით. (სტოლს მიიტანენ კუშეტკასთან) ჰო ესე! მე როგორც გატყობთ თქვენ ვერაფერი მოგიხერხებიათ, ავი და კარგი გადამხედია. ჩვენმა მხატვარმა გაიგო ჩემი ანბავი და შენც გაიგებ ჩემო ცუგრუმელავ მაგისგან. აი თქვენ ერთათ ემაგ კუშეტკაზე დასხედით. მე ამ სკამზე ჩამოვჯდები. ერთი სკამი კიდევ მეტი დარჩება, თუ მეტი სტუმარი შემოგვესწრება ესეც იმას.

ილია. ყოჩაღ დედი, ყოჩაღ! (დაჯდომას ვერ ბედავს)

სოფია. მაშ კარგი დედა მატრონა ეგრე იყოს (დაჯდება)

მატრონა. თქვენ რაღასა სდგეხართ?

ილია აი ეხლავე (იღებს ჰრეზეკებს ბოთლებიდან და ჯდება)

მატრონა. აი ეხლა გიხდებათ (იწყობენ ჰერის ჯაპას მატრონას ცრემლები ერევა)

სოფია. რათა სტირით, რა ამბავია?

მატრონა. ნუ მკითხავ შვილო. მერმე გაიგებ არა უშავს რა, გაივლის.

ილია. კარგი დედი! მე ვიცი რაზედაც სტირი. აი ეხლა რას გეტყვი: მე არა ვინა მყავს ქვეყანაზედ და გაძლევ პატიოსან სიტყვას და ჩემს ხელს (აწვდის ხელს) რომ დღეის იქით, შენ იქნები როგორც დედა ჩემი და მეც ისე ჩამოვალე როგორც შენი შვილი, რომელიც ჯერ ჯერობით დაკარგულია (წამოდგება. მატრონა წამოდგება: აძლევს ხელს სოფიოს).

მატრონა. ოჰ! გაიხაროს შენი მშობლის ძუძუებმა ისე, როგორც ეხლა მე გამეხარდა. თუ კი მიკადრებ მე დიდ სიამოვნებათ ჩავსთვლილი (აძლევს ხელს).

ილია. თქვენ იყავით მოწმათ სოფია მიხაილოვნა! რომ დღეის იქით მე და მატრონა დედა შვილნი ვართ (მატონას) და ნიშნათ ამისა რომ დაგიმტკიცოთ ჩემი სიტყვების სიმართლე, ჯერ ჯერობით მოგეხვევი როგორც ნამდვილს დედას (ეხვევიან).

სოფია. (ცრემლები ერევა იწმენდს) მაშ რა ხან აგრეა, მე დღემდის სასმელი არ ვიცი რა გემო-

სია. და როგორც ნამდვილი მოწამე. ესვამ თქვენი დედა შვილობის სადღეგრძელოს.

ილია. ვაშა!!! სოფია მიხაილოვნა! ურაა!...

მატრონა. (თვალ ცრემლიანი) რომ ცოტათი მაინც არის გადაგიხადოთ ეს უდიდესი სიკეთე ჩემ-დამი, მეც მანდა ვიყვე თქვენი პირველი მოწამე, და ნურც წამართმევთ ამის უფლებას. გატყობთ შვილებო, რომ ერთმანეთი გიყვართ, და ვერ გა-გიბედნიათ, ამის გამოცხადება. ამისთვის დღეის იქით მოიშალეთ „ვიჩებით“ ძახილი და გადაეხვევ-ნეთ ერთმანეთს, როგორც რომ ერთი გული და სული (ილია და სოფიო ერთმანეთს შესცქერიან). რა-ღას უყურებთ? დამერწმუნეთ, რომ ჩემზედ სან-დო მოწამეს ვერ იშოვნით, გინდა თვით შეეოსილი ეპისკოპოსიც მონახოთ. აბა! (სოფიო მიიწევს ილი-ასკენ, ილია გიუისაგით ერემა მოსვევს ხელს და დიდ ხან ასე რჩებიან. იქაო ტირიდით) ოჰ, განგებავო! რა დაგიშავე, რომ ჩემი ლიზიკოც არ მაჩვენე ამ წუთებში ასე თავის საქმროსთან (იწმენდს ცრემლებს იმათ) ესვამ თქვენ სადღეგრძელოს ჩემო გვერტებო! იყავით ბედნიერი ქვეყანაზედ. დღეის იქით ჩემო ცუგრუმეველავ ჩემი რძალი შეიქნები.. ამისათვის მოდი მიგიკრა გულში როგორც ჩემი ლიზიკო (ეხვევიან).

ილი სწორედ, რომ განგება ხარ შენ დედა-ჩემო! ეხლა დარჩა სადღეგრძელოს თქმა ჩემზედ.

(«ლებს სტაქა.ს) ვსვამ საღღგრძელოს იმ წუთისას, როდესაც შენ და შენ ქალს გნახავთ ერთად გადახვეულს, და შენის შვილის დაბრუნებას.

სოფიო როგორ? განა თქვენ ქალ-ვაჟი გყავთ და ისიც ცოცხლები? მე არა მესმის რა!

ილია დიახ, ჩემო კარგო! ჰყავს ქალი და ისეთ ადგილას, საიდგანაც უსათუოთ მე უნდა გამოვიხსნა, ეს ჩემი პირდაპირი მოვალეობაა. ვაჟსს კი, უ რამე მოეხერხება, არც იმას დავაკლებ ცდას. შენ დედაჩემო დღეიდან დარჩები აქ ჩემიან და მიატოვე შენი პარკის ტარიბა. როგორც იქნება ვიცხოვრებთ. აბა სონა ესლა დაგვრჩომია, რომ შენ დედ-მამას შეეატყობინოთ, თუმცა დედა შენი უარს იტყვის...

სოფიო. მაგრამ მალე ნებას დამრთამს. ეს ჩემო საქმეა და არა იმისი (ისმის კარების ბრახუნი.)

ილია. მე სრულებით გადამავიწყდა რომ აკადემიკი რეიცკი უნდა მოს ლიყო სურათების სასყიდლათ, იქნება ის არის? თქვენ ნუ შეკრთებით, მითომც თქვენ სამხატვრო მოდელები ხართ.

ოლივენი. (ერიოსა) მითომ არ ვიყავით?

ილია. (სიცილით) მაინც! (ადგება მიდა კარებსთან გამოჩდება რეიტკი)

გამოსვლა მე-6

იგინივე და რუიცკი.

რუიცკი. (სუფთათ ჩაცმული) აა! უკაცრავათ თქვენ საუზმობთ?

ილია. არა უშავსრა, მობრძანდით!

რუიცკი. აბა მაჩვენეთ სურათები.

ილია. ინებეთ (უჩვენებს ზოგს კედლებზე ზოგს დაწყობილს)

რუიცკი. (კაფსიციებით ყურადღებით სინჯავს სურათებს, მერმე მიაცქერდება ქალის სურათს იქით) ღმერთო ჩემო! ასეთი ტალანტი და ამ სილატაკეში მიგდებული. მთელი სიმდიდრეა მხატვრობის ხელოვნებაში. (ილიას) ო ქვენ სურათებს დაკვირვება აკლია, ზოგ ადგილას ფერადები გადაჭარბებულია, მაგრამ იშრომეთ, არა უშავს რა.—ამ ქალის სურათს როგორ გაჰყიდით?

ილია. (გადახედავს სოფიოს) მაგ სურათს არ გავყიდი!

რუიცკი. რატომ? კარგ სასყიდელს მოქცემთ.

ილია. ეგ სურათი სხვისათვისა მაქვს დამზადებული.

რუიც. თქვენ შეგიძლიათ მეორე დახატოთ. განა რას გაძლევენ?

ილია. არაფერს!.. სახსოვარია.

რეიც. ჰმ!... იცით მერე რა უნდა მომეცა?

ილია. ეგ სულ ერთია!

რეიც. არა მაინც?

ილია. აბა მე რა ვიცი?

რეიც. ას თუმანს. (იქით) ხუთას კი არ მივცემ?

ილია. მაინც არ შემიძლიან გავყიდო.

რეიც. (უკურებს მაწანწალების სურათს) ნმადვილი ტალანტია! ამას?

ილია. ეგ შეიძლება.

რეიც. რას აფასებთ!

ილია. თუ ერთი დააფასეთ მეორესაც დააფასებთ,

რეიც. ხუთას მანეთს მოქცემთ. გარდა ამისა ერთ პირობას დაგიდებთ. ყველა თქვენ ნახატებს ვიყიდი და კარგ ფასებსაც მოგცემთ, მხოლოდ თქვენს გვარს ნუ მოაწერთ,

ილია. რატომ? (გაოგებული),

რეიც. იმიტომ რომ, როგორც წელან გითხარით, თქვენ სურათებს დაკვირება აკლია, და რადგან თქვენ კიდევ ჯერ არავინ გიცნობთ, თქვენი გვარის მოწერით, ვერც სურათებს გავყიდი.

სოფ. (მატრონას) ხედამ უნდა რომ მოატყუოს ვნახოთ.

რეიც. უნდა ზოგან გამოჩენილ მხატვარებს

შეკვაკეთებინო რომ ეგები იმათი სახელით გაიყიდოს. (იქით) მე კი არ მეგულება მთელ ჩვენ იმპერიაში ისეთი მხატვარი, ამაზედ უკეთესათ დახატოს ვინმემ. ეს ნამდვილი გასაოცარი ნიჭია, და მე ამითი შემიძლია უკდავი სახელი მოვიხვეჭო.

სოფ. (ამის სიტყვას ყურს მოჰკრავს) გესმის დედი? ილიას ნახატებით სახელი უნდა მოიხვეჭოს (მატრონა ხიზდით შესჩქერის რეიცკის).

ილია. (ფიქრის შემდეგ) ეს რაღაც მოუხერხებელია, რომ ჩემი სახელი არ ეწეროს. თქვენა ბრძანებთ რომ არავინ გიცნობთო, და მე რომ ჩემ ნახატებს გვარი არ მოვაწერო, მაშ როდისღა უნდა გამიცნონ?

რეიცკი. მაგას შემდეგში მოვახერხებთ! — რას იტყვით, ყაბული ხართ თუ არა? აი იმ ქალის სურათში თუ გაიმეტებთ ორას თუმანს მოგცემთ. ეს ერთბაშათ მთელი სიმდიდრეა, თქვენისთანა მხატვრისავის! ან რა არის ცარიელი სახელი თუ კი ფულები იქნება? (ილიას უყურებს).

სოფ. (წამოდგება ამაყათ) არა ბატონო აკადემიკო! მაგ პირობით თქვენ სურათებს ვერ იყიდით!

რეიცკი. (გაოცებული) ეს რა ამბავია? ვის ვევაჭრები? მხატვარს თუ...

სოფ. (აწუგეტინებს) ეგ სულ ერთია! მე ძალიან კარგათ გავიგონე თქვენი სიტყვები და ვგო-

ნებ არ ინებებთ გაგიმეოროთ (იღებს კაკვირვეიული შესტქერის ხან ერთს ხან შეორეს).

რუიცკი. მე როგორც ვატყობ, ეს სურათები ქალებისა ყოფილა და არა თქვენი ბატონო ;ხატვარო!

ილია. არა ბატონო? თქვენა სცდებით.

სოფია. დიახ, ბატონო! თქვენ ძალიანა სცდებით! აქ რაც სურათებსა ჰხედავთ, სულ ამ ყმაწვილის ნახატებია; და ჩვენ მარტო მოდელები ვართ, და სხვა არაფერი. მაგრამ თქვენ რომ მოისურვეთ სხვის ნიჭით სახელის მოხვეჭა, მაგის ნებას კი არ მივცემთ ჩვენს მხატვარს. ჩვენ მხოლოდ მაგის ნიჭს ვემსახურებით, რომ ბოლოს სახელიც მაგისი იყოს და არა სხვისა, გესმით?

ილია. მე არა მესმის რა, რა ამბავია?

რუიცკი, (შერცხვენილი) არც ღირს რომ გაიგოთ მშვიდობით, სხვა დროს გამოვიველი. (გადის)

ილია. ღმერთმანი არა გამეგება რა.

სოფიო. შენ ჩემო კარგო ეს მითხარი. ეგ გამოჩენილი მხატვარია, თუ არა? შეუძლიან დააფასოს კაცის ნიჭი, თუ არა?

ილია. რას ამბობ სონა? მაშ ვის შეუძლიან თუ არა მაგას? ეგ ერთი უპირველესი მხატვარია ჩვენში?

სოფ. მაშ ჩემო მშვენიერო, აღსრულდა! მოვესწარ იმას, რასაც ყოველ დღე შემოგძახოდი.

შენ დღეს უპირველესი ნიჭი ხარ მხატვრებთა შორის.

ილია. მერე შენ რა იცი ჩემო გვრიტო?

სოფ. დიახ, ვიცი! აი სწორეთ ემაგ კაცმა სთქვა ჩუმათ, რომ ამისთანა ტალანტი, ჯერ არ არის აქაო. ამით შემიძლიან უკდავი სახელი მოვიხვეჭოვო.

მატ. მართლა შვილო, მეც გავიგონე. კიდეც იმიტომ შემოგაძლია მაგდენი ფული.

ილია. მაშ თუ ესრეა ჩემო კარგო! ეს სულ შენის წყალობით! ნახე შენ სურათში რამდენი მაძლია? ოჰ! ჩემო მადონავ! ჩემო ღვთაებავ! (ჩაიკრავს გულში და ჭკოტნის, ისმის კარას რახუნი, მატრონა მივარდება კარებს).

მატრონ. ვინა გნებავთ?

ხმა. მხატვარი ილია ტრუეენიკოვი აქა სცხოვრობს?

ილია. (ეთბაშათ) ღმერთო ჩემო კოლია!

(ნიკოლაი შემოვარდება სამგზავრო ტანისამოში საკვოიაჟი ჭკიდია, ხელში პატარა ჩამადანი უჭირავს და გადაეხვევა ილიას).

გამოსვლა მე-7

იზინივე და ნიკოლაი.

ნიკოლაი. ილუშა! (მატრონა და სოფია შესტქერიან გაოცებულნი).

ილია. როდის?

ნიკალაი პირდაპირ პოეზდიშან შენთან (მოიხე დავს) ოკაცრავათ ბატონებო! დიდიხნის უნახაობამ გამიტაცა!

ილია. არა უშავს რა კოლია! უცხონი არ არიან. აბა სონიჩკა! დედი, გაიცანით. (ნიკოლაა გაშტერებული). რას გაშტერდი? ეს ჩემი საცოლე სოფია მიხაილოვნა, ესეც დედა ჩემი, რომელსაც დღეს შევფიცე დედა-შვილობაზედ (ნიკალაი ' ელს ართმევს ორივეს) ესეც ჩემი პირველი ამხანაგი და მეგობარი ნიკალაი პეტროვიჩი დობროვი, დღეს რომ გელაპარაკებოდით.

ნიკლ. როგორ, განა მიგონებ კიდეც? მე კი მეგონა რომ კიდეც დაშივიწყე მეთქი.

სოფ. დიახ ნიკალაი პეტროვიჩ! ამ ერთი საათის წინეთ თქვენზე გვქონდა ლაპარაკი.

ნიკალაი. გმადლობთ, დიდათ გმადლობთ ბატონებო!

ილია. აბა კოლია! მოიხსენი შენი საკოციაჟი. რა კარგ დროს მოხვედი. ერთის სიტყვით მე დღეს ახლათ ვიბადები. დღევანდელი დღე უნდა სახსოვრად აღვნიშნოთ. აბა დედი ეხლა კი დავტრიალდეთ. სონიჩკა, აბა ისევ ჩვენ საწყალს სტოლს; ეხლავ დაუძახოთ შენ დედ-მამასაც.

მატრონა, აი შვილო ეს მეტი სკამიც, ჩვენ

ნიკალაი პეტროვიჩს, ამაზედ უკეთესი სტუმარი, ვილა გვეწვევა.

ნიკოლაი. გმადლობთ! გეტყობათ საუზმობ-დით. ფინანსსზე როგორა ხარ?! ჰკოკლობ? არა უშავს რა, ყველაფერი გამოსწორდება (უცებ შეხედავს ქალის სურათს) ღმერთო ჩემო! ეს ვისი ნახატია! (განცვიფრებით უცქერის)

ილია. რატო ეგრე გაიკვირე?

ნიკალაი. როგორ შენი? და მერე ასე სცხოვ-რობთ? ამ სილატაკეში? ოჰ! ევროპა, ევროპა! (უცქერის სურათს) შენ აქ ვინ დაგაფასებს. (ჩაკვირვებით ფიქრობს)

სოფია. (მატრონას) არ გითხარი ჩვენი ილია ნამდვილი ნიჭია მეთქი?

ნიკოლაი. ეს სურათი ქენეევაში უნდა გაიგზავ-ნოს, იქ ეხლა მსოფლიო გამოფენაა სურათებისა, ამის ადგილი აქ არ არის! რომ გაყიდო ორას ათას ფრანკს მოგცემენ

მატრონა, სოფია (ერთად) ორასი ათასი ფრანკი?!

ნიკალაი. დიახ! ორასი ათასი ფრანკი და სახელი კიდევ სხვაა! ერთი სიტყვით შენ ეხლა ილუშა, აღარ მეცოდები. შენ ნამდვილი ნიჭი და გვირგვინი ხარ ხელოვნებისა, რომლის წინაშეც ვიხრი მუხლს. (იჩოქებს, ილია არ უშვებს. მატრონა და სოფია გაბარებულები ცისკენ შეიცქერიან.)

ფარდა

მოქმედება მესამე

(სცენა წარმოადგენს ოთახს. შუათანათ მოწყობილს. ლივანი კრესლოები, რამდენ. მე ჩალის სკამები. სამი კარი. კედლებზედ რამდენიმე სურათები ჰკიდია, მატრონა მარტოა. სუფთათ აცვია ქალალდებს შლის ფარდა აიხსნება)

გამოსელა I-ლი.

მატრონა. ამ წუთებში, არა დედა, არ იქნება ისეთი ბედნიერი, როგორც მე ვარ. თუმცა ამ ორი თვის წინეთ ჩემზედ უბედური არავინ მოიძებნებოდა. მართლაც, რომ ცხოვრება ჩარხია. მაღალს ამდაბლებს, დაბალს ამაღლებს. ცხოვრება ზღვის ტალღებიაო! ჩემმა ილუშამ იცის ხოლმე. ზოგს სად გასტყორცნის, ზოგს სადაო. როგორც შემპირდა ისეც მოიქცა. ჩემი ლიზიკო მიპოვნა. ეხლა ჩემ გვერდით არის თუმცა მხურვალე მონაწილეობა ნიკალაი პეტროვიჩმაც ითიოლო. მშვენიერი ყმაწვილია ეს ნიკალაი პეტროვიჩი. ისე ეევლება ჩემს ლიზიკოს თავზე, როგორც ბუზი თაფლს. ახ რასაც ვფიქრობ რომ მოხდეს? ილუშა და სონია სამუდამოთ შეუღლდნენ; თუმცა ელენა გავრილოვნა დიდ უარზედ იდგა. დღესაც არ მიყურებს მე კარგ თვალზე, მაგრამ არა უშავს რა. იმათ საქმეც გამოკეთდა. ნიკალაი პეტროვიჩმა უკეთესი ადგილი უშოვნა. დიდი მეგობრები ჰყოლია ამ ნიკალაი პე-

ტროვიჩს. ჩემი სონაც ისე უყურებს ლიზიკოს, როგორც საკუთარ დას. ილუშა ხომ ანგელოზია და ანგელოზი! დღეს ყველანი ერთათ სასეირნოთ წავიდნენ. არაფერს თაკილობენ ლიზიკოსთან სიარულს, და აი სწორედ მეც ეს მახარებს და ჩემ ლიზიკოსაც. ჩემს შვილს ტელეგრამა გაუგზავნეს, შენი და ვიპოვნეთ გაიხარეო; თითქმის ორი თვეა. საწყალი ჩემი ლიზიკო არ იცის მეტის სიხარულით რა ჰქნას. ეს რა კეთილ ხალხში ჩავარდიო. სულ იმას შემომძახის. (შლის ქაღალდებს) ღმერთო ჩემო! ეს ახალგაზდა კაცი თავს არ ანებებს ჩემს ლიზას. ეს მესამედ ვშლი. ოჰ! თუ ისე მოხდა, როგორც ვატყობ და ვფიქრობ, რა ბედნიერი შეეიქნები? არა ძაან ყმაწვილია ნაკოლაი პეტროვიჩი! მოუსვა ხელი და რაც სურათები ჰქონდა ჩემ ილუშას, სულ ქენეევაში გაგზავნა. (შემოდის სოფია, ქაღალდები შეხვეული წიგნებით).

გამოსვლა მე-2.

მატრონა და სოფია მიხაილოვნა.

სოფია. უჰ! დედი რამდენი ვიარეთ, მე დავიღალე და გამოვექეცი, სადილს მოვამზადებ მეთქი.

მატრ. რად გამოიქეცი ჩემო კარგო! განა მე კი ვერ მოვამზადებდი სადილს! თითქმის რომ მზათ არი. სანამ ახალ-გაზდა ხარ სიამოვნებას არ

უნდა მოაკლდე. სახლში ფუსფუსი ჩემი რიგია.

სოფ. (აწყობს წიგნებს, იხდის შლიაპას) არა დედი; შენ ეხლა უნდა დაისვენო, რაც შენ გასაჭირი გამოიარე ისიც მეტია, ეხლა ჩვენ უნდა მოგიაროთ. ეგ რა არის? ქალალდებსა შლი?

მატრ. ჰო შვილო! მაინც ისრე ვიყავი, მინდა გავიგო რა მოელის ჩემ ლიზიკოს.

სოფ. განა დედი ქალალდები გეტყვიან? ეგ სულ ტყუილია.

მატრონა. აი შვილო, სამჯერ გავშალე და ერთი ახალ-გაზრდა ყმაწვილი თავს არ ანებებს ჩემ ლიზიკოს. ნეტავი ვინ იქნება ის ყმაწვილი? ღმერთმა კი ნუ ჰქნას რომ იმ შეჩვენებულ აფიცერს ჰგვანდეს!

სოფ. არა დედი! ის ყმაწვილი ძალიან მშვენიერი ახალ-გაზდაა. (ჯდება) ძალიან განათლებული, და ჩინებულია და უნდა იცოდე რომ თუ დღეს არა, ამ მოკლე ხანში გაიგებ, რომ ჩემი დობილი ლიზა, ძალიან ილბალს შეეყრება.

მატრ. შენ ყოველთვის ჩემი წინამორბედი, იყავ ხოლმე, ჩემო გვრიტო! მჯერა ეს სიხარული, იმიტომ რომ შენ მეუბნები. შენ ყოველ სიტყვას სულით და გულით პატივსა ვცემ.

სოფ. ეს მეტის მეტი ქებაა დედი! მე მხოლოდ იმას გეუბნევი რაც ხდება, და რასაც მევე ვამჩნევ.

მატრ. ქება კი არა, რაც თქვენ გაგიცანით მე ხელ მეორეთ დავიბადე. — ვის შეეძლო ჩემი ლიზას პოვნა? თუ არა თქვენ ყველას? ეხლა მე თითქმის სულ დამავიწყდა ჩემი წარსული ტანჯვები, და სულ თქვენით ჩემო კარგო. (ადგება ჭოცნის) ეხლა მე წავალ სამზარეულოს მივხედამ. (მიდის).

გამოსვლა მე-3

სოფია მარტო.

სოფ. მეც მალე მოვალ დედი. საბრალო! აი. დედა! სულით და გულით ნამდვილი მშობელია! ღმერთო ჩემო! რამდენი ტანჯვა და ვაგლახი გამოიარა, მაგრამ ბოლოს გამოისყიდა მაინც. ნიკალაი პეტროვიჩი ნამდვილი გმირია, თითქმის არც ერთი ნაცნობი აღარ გვეკარება, რაც ლიზა ჩვენსაა. და ნიკალაი პეტროვიჩმა კი ყველა ამაებს გვერდით აუარა. დღეს გარდასწყვიტა ლიზას უნდა ხელი ვსთხოვოო ისეა გატაცებული. ილუშა ისეა გახარებული ამ ამბებით, რომ არ იცის რა ჰქნას. (შაუზა) ეჰ, რა ვართ დღეს ჩვენ ქალები. ისრე გვიყურებენ როგორც ბავშების სათამაშო ნივთებს. თითქოს ჩვენ ადამიანები არ ვიყვნეთ, თითქოს მამა-კაცებთან ერთად ჩვენც არ შეგვეძლო ცხოვრების მორევში ჩარევა და ბრძოლა. როგორ გვტყორცნის ცხოვრების ტალღები. ხან აქეთ ხან

იქით? ხან კი ისეთ უფსკრულში ჩავცვივით, რომ ყვავ ყორანიც ველარ მოგვაგნებს. რათა? ვისი წყალობით? სულ ჩვენის მამა-კაცების წყალობით. დაგვცინიან, ყოველ დღე გვიკიჟინებენ, თქვენი ჭკუა, გონება ფერად მოდების მეტს ვერა სწვდებაო, ტიკინები ხართო! მერე რათ? ვისთვის ვიცვამთ მოდებზე კაბებს? ვინ მიგვიყვანა იქნობამდის რომ მოდებზე ჩავიცვათ. რასაკვირველია მამა-კაცებმა. დიახ. ბატონებო! ჩვენ ქალებმა ეს კარგათ შევიტყვეთ, რომ თუ კოხტათ არ ვეჩვენეთ და მოდაზედ არ ჩავიცვით, ზედ არ შემოგვხედენ. „რასა ჰგავს, თავის ტანისამოსის გემო არ იცის, სხვაში რას ივარგებსო“ ერთ და იმავ დროს გიჟდებიან ჩვენის მორთულობით, აფასებენ ჩვენ გემოიან ჩაცმულობას, და იმავ დროს გვლანძღამენ მოდების მეტს არაფერში ვარგისართო! (ადგება) განა ჩვენი ბრალია? არა! დიახ ვიტყვი არა! მე ვერ წარმომიდგენია რა სინდისი ეტრიალებთ თავში. როდესაც ეფიცებიან გულუბრყვილო ქალს: „მიყვარხარ შენ ჩემი ხვთაება ხარო“ სტყუებენ ერთათ ერთ საუნჯეს, რომელიც დღეს ეს არის ქალის ლირსებათ მიღებული, და შემდეგ ჰკრამენ წიხლს და ისვრიან წუმპე-ლაფის მორევში; გადგებიან მერე განზედ და უკიჟინებენ, „შენ რომ კარგი ქალი ყოფილიყავ მაგ ადგილას არ იქნებოდიო“! ეს არის

ვაჟბატონებო თქვენი მეოცე საუკუნის განათლება რიხიანი ყვირილი?! (დაჯდება) ეჰ! როდის დადგება ის დრო, როდესაც ქალებს ესრე კი არ მოექცევიან როგორც ჟინის მოსაკლავ სათამაშო ნივთებს, არამედ როგორც ნამდვილ მეგობრათ, და ამხანაგათ იცნობენ. აი, დრო რომელიც მართლა და სანატრელია! (ჩაფიქრდება. ნიდაყვდაყრდომილი. ჰაერარხნის შემდეგ შემოვდენ ელენე გავრილოვნა და მიხაილ გრიგორიჩი, ქალაქის მუნდირში.)

გამოსვლა მე-4

სოფიო, ელენე და მიხეილ გრიგორიჩი.

ელენე. ეს რა ამბავია? სონია რას დაფიქრებულხარ? ხომ არა მოხდარა? არ გეუბნებოდი რომ ასე იქნებოდა?

მიხ ილ. რაო? რა მომხდარა? სონა ხომ იცი ეხლავ ტირილი მომივა. (მივა ახლოს და ჭკოცნის)

სოფია. არაფერი მამაო! დედიჩემის ფიქრები სულ ტყუილია. აქ ისეთი არა მოხდებარა, რასაც დედაჩემი ფიქრობს. თქვენ მხოლოდ საქებურათ უნდა გქონდეთ დარჩენილი, და გიხაროდეთ, რომ თქვენი ქალი ამგვარ გამოჩენილ კაცსა ჰყავს, და ამ სიკეთეშია! მხოლოდ უბედურება ეს არის რომ ათასში ერთი მიახწევს ამ სიკეთეს ხოლმე, და და-

ნარჩენნი კი, ვინ იცის რა დღეში არიან ჩ:ცვინუ-ლნი.

მიხაილ. მაშ რალათ იყავ ჩემო შვილიკო და-ფიქრებული?

სოფია. აი ამას ვფიქრობდი, რომ როდის იქნე. ბიან ყველანი ბედნიერნი მუთქი!

ელენე. ეგ შეუძლებელია! ზოგი ბედნიერნი იქნებიან, ზოგნი უბედურნი.

მიხაილ. რასაკვირველია ჩემო კარგო! ყველა როგორ შეიძლება რომ სიკეთეში იყვნენ.

სოფ-ა. არა ბატონებო! ძალ-იან სცდებით! თითქმის ახლოა ის დრო რომ ყველანი ბედნიერნი იქნებიან. თუ არ ბევრს, ცოტა ნიშნებია ამისი; გა-ნ• ტყვილად შევხარით გაზაფხულს?

მიხაილ. შეიძლება, მე გეთანხმები.

ელენე. რაში ეთანხმები? თავის დღეშიაც არ იქნება რომ ყველანი კარგათა სცხოვრობდნენ.

მიხაილ. შენც გეთანხმები, შეიძლება რომ ეგ-რეც იყოს..

სოფია. (იქით) საბრალო მამავ! (იმ:ს) სხვა მა-მაჩემო! მწარე ბოთლებს ხომ აღარ ეხვევი ხოლმე?

მიხაილ. არა ჩემო კარგო! რაც შენ პირობა მოგეცი მე აღარ დამილევნია არაფერი. როცა ცო-ტა მომინდება ხოლმე შენთან მოვრბივარ. თითო ჭიქა შეღებილი, მგონი :რა უშავს რა, საქმეს არ წაახდენს.

სოფია. ეხლავ მამავ! ერთი ჭიქით არა უშავსრა

ელენე. ერთი ჭიქა, ერთი ჭიქა, და ისევ ხელმეორედ გინდა შეაჩვიო?

სოფია. რა არის დედა ჩემო! ბავშვი ხომ არ არის? აგერ ერთი თვეა მე ნასვამი აღარ მინახავს. რათ იცი ეგრეთი ჯავრობა?

მიხაილ. ეგრე ჩემო კარგო, ეგრე! ისრე მიყვირის როგორც ხუთი წლის ყმაწვილს. არა რა იქნება ერთი ჭიქა?

ელენე. (სონას) შენ ეგრე გამოექომაგე, და ძაან ხეირი დაეყრება, თავათ ისედაც არ ვიცი ღმერთმანი რა საქმეებსა ჩასდიხართ: ზნედაცემული ქალი სახლში შემოიყვანეთ, ქუჩის მათხოვარა დედათ გაიხადეთ...

სოფია (ანუკეტინებს) უკანასკნელად გთხოვ დედა ჩემო გაანებე მაგ ლაპარაკს თავი. მე ვიცი რასაც ჩავდივარ. ან რა არის აქ საძრახისი. განა ლაფში ჩაფლულმა, რომ ხელი გამოგიწოდოს დამიხსენი ამაყენეო, რომ ამოიყვანო, ეს საძრახისია? გეუბნები ხმა აღარ ამოიღო მეთქი.

ელენე. ეს კარგია რომ მთელი ქვეყანა შენზედ ყაყანობს?

სოფია. შეგნებული კაცი არას იტყვის და შეუგნებელნი კი, ეს არაუშავსრა. ან რას დავეძებ მათ ყაყანს! რა არის აქ გასაკიცხი? მორჩა ამაზე ლაპარაკი მეტიღაა!

მიხაილ. რა საკვირველია მეტილაა! რაც მოხდა მოხდა.

ელენე. შენ ბევრი გესმის!

სოფია. ძალიან ბევრი ესმის! გთხოვთ გაჩუმდეთ, საღაც არის მოვლენ. მე ეხლავ შელებილს გამოვიტან მამავ (გადის)

ელენე. სულ მთლად გადარიეს ეს ბავშვი ამ შეჩვენებულებმა.

მიხაილ. მე კი არა მგონია! ჩემი ცუგრუმელა ისეთი ჭკუისაა, რომ სუყველას თავისაკენ გადმოიყვანს.

ელენე. რა კი შენ ჭიქით არყებს გასმევს!

სოფია. (შეშოდის შემოაქვს არაყი)

გამოსელა მე-5

იგინივე და სოფია.

სოფია აი მამავ! მიირთვი.

მიხაილ. შენი სადღეგრძელო იყვეს შვილო (გადაკრავს) მშვენიერი რამ არის, ვფიცამ პატიოსნებას. რომ არსად დავლიო ხოლმე, თითო ჭიქა გქონდეს ჩეთვის შენახული.

სოფია. ძალიან კარგი მამავ! ყოველთვის შეგინახავ ხოლმე.

ელენე. მე კიდევ ვერ წარმომიდგენია სონა! რათ მოიქცა ლიზა ეგრე? განა არ შეეძლო სხვა

ფრივ მოქცეულიყო? უსათუოთ იქ რათ ამოჰყო თავი. იცოდე რომ იმის ბოლო ისევ ის ადგილია!

სოფია. სცდები დედა! გთხოვ გამოიცვალე შენი შეხედულება ლიზაზე. ყველა ეგრე ადვილად როდი აიტანს თავის შეცდომას, მით უმეტეს რომ თავის ჭკუით მოქმედებდა.

მიხაილ. შენ როგორც გატყობ ჩემო ,ყარგო, თანდათან ფილოსოფოსდები, თუმცა არც წინეთ იყავ ტუტუცი.—მართლა და სასიხარულოა, ამ გვარი კაცის სიძეობა სწორედ გითხრათ მე ძალიან მომწონს ილია? არა ჰგავს იოსებს! იმას რაღაც მონობისაკენ აქვს კისერი გახრილი; თუმცა კი სამსახურში არც უიმისოდ იქნება მაგრამ...

სოფია. მაგრამ დრო მოვა, რომ უიმისობაც იქნება!

მიხაილ. მართლა სად არიან თქვენები სონა?

სონა. დედა აქ სამზარეულოში სადილს ამზადებს, დღეს მე ალარ მიმიშვა ქურასთან. დაისვენეო. მეც ეხლა მოვედი, ერთათ ვაყავით სასეირნოთ, როგორც კვირას.

მიხაილ. ახ რატომ ადრე არ მოვედი, მეც ხომ გავივლიდი. სხვა არა იყოს რა, თვალს გავახელდი.

ელენე. ეგ არის, ეღგა გაკლია.

მიხაილ ოჰ! ეს დედაკაცები! თუ თითონ გაუწყრათ ღმერთი, ხომ არა უშავსრა! და თუ მე ერ-

თხელ წავედი თვალი გავაღე, ეს კი ქვეყნის დაღუპვათ მიაჩნიათ.

ელენე. კარგია ნუ მოჰყევი!—მე მაინც არა მჯერა რომ ლიზა გამოსწორდეს.

მიხაილ. აი ესეთი ხასიათი აქვს ამ პატიოსან დედაშენს, თუ ერთი ასტყდა კი ალარ დადგება. არა, რა შენი საქმეა, თუ ღმერთი გწამს. იქნება რა ილბლისაა საბრალო ლიზა; იქნება გამოსწორდეს.

ელენე. (აწამებინებს) გაჩუმდი! ჩემი მტერი გამოსწორდეს, როგორც ის. ძაღლი საყასბოს მიეჩვიოს, განა ის იქიდან სიარულს მოიშლის?

სოფია. აბა იმ ძაღლს კარგათ მოუარეთ, მიელაქუცეთ, აჭამეთ, ვნახოთ კიდევ წავა?

ელენე. მე მაინც იმას ვიტყვი, რომ სულ მეტია მაგათი თავის გამოდება, და არც საჭირო იყო გარყვნილი ქალი სახლში შემოგეყვანა. სხვა არა იყოს, რა გარეთ თავს ველარ გამოყოფთ.

სოფია. რადგან არ დაგიშლია, მაშ გეტყვი როგორც მოვიქცევით ჩვენი საქმეა, და არავის არა აქვს უფლება ჩვენ საქმეში ჩაერიოს. სირცხვილი ის არის დედაჩემო, რომ ქმრიან ქალებს ათობით კიდევ სხვა საყვარლები ჰყავთ. აი სირცხვილი, გეუბნევი ჩემი საქმეა მეთქი, რასაც ჩავდივარ, აქ გასაკიცხი არა არის-რა.

ელენე. გენაცვალეთ, რა უბედური დრო დადგა! შენ შვილს დარიგებასაც ნუ მისცემ, უფლება არა გაქვსო! (ადგება) კაცო ადე წავიდეთ, ვერა ხედავ რომ სახლიდან გვერეკებიან, ვილაცა მოთხო-

ვარა მატრონას და იმისი კახპა ქალის გულისათ-ვის?

სონა (ხმა მაღლა) დედა ჩემო! ეგ მეტის მეტია თქვენ არავინ გერეკებათ, და არც არავინ გთხოვთ გაჰკიცხოთ ისედაც ცხოვრებისაგან გაკიცხულნი და საბრალონი; გესმით თუ არა? მოიგონეთ თქვენი წარსული!

ელენე. გესმის! გვემუქრება კიდეც! ადე შე ოხერო რაღასა ზიხარ!

მიხაილ (ფეხზე შეუდგება) მე ფეხსაც არ მოკიცელი, ან როგორ წარმოვიდგენ, რომ ჩემი ქალი ჩემი ნუგეში, ჩემი ფილოსოფოსი, მე სახლიდგან გამაგდებს. არ ვიცი სწორედ რა ღმერთი გიწყრებაო?

სოფია. სწორედ, რომ მეცოდები მამაჩემო! მაგრამ რავქნა! საუბედუროთ ამ დედაჩემის ხასიათს, რომ იტყვიან თვით იესო ქრისტეც ვერ მოარჯულებს. არა! რა სიტყვაა, გვემუქრებავო! აბა საიდგანა ჰხედავთ მუქარას. მატრონა ეხლა დედაა ილიასი და ლიზაც მაშასადამე და. მე რა უფლება მაქვს დაუშალო ილიას ასე ნუ იქცევი მეთქი, როდესაც მით უმეტეს აქ ცუდს არას ვხედავ. ეს იცოდე დედაჩემო! გათენებამდინ, რომ მლანძღო მაინც ილიას წინააღმდეგი არ ვიქნები ამ საქმეში. მიტომ რომ ის არა გავს იოსებისთანა ზნე დაცემულ ჩინოვნიკებს.

მიხაილ. მართლა გაჩუმდით! აი ეხლა მე გეტ-ყვით ახალ ამბავს. თქვენმა უაზრო ჩხუბმა კინა-ღამ დამავიწყა.

ელენე. ისეთ ამბავს კი იტყვი რომ არ გამე-გონოს!

მიხაილ სწორედ ისეთს ჩემო დარბაისელო! აბა მითხარი, გაიგე, რომ შენი ნაქები იოსებ ზა-ხარიჩი, სამსახურიდგან დაუთხოვნიათ და ეხლა მში-ერი ქუჩა ქუჩა დაეხეტება?

ორივენი მართლა?

ელენე. ეჰ, ტყუილი იქნება, ის შენ კი არა ვგავს, რომ ლოთობის გულისათვის დაითხოვონ ერთ დღეს არ გააცდენდა სამსახურს, ისე გულ მო-დგინეთ ასრულებდა.

**მიხაალ*. ასრე თუ ისრე! მე ჩემის თვალითა-ვნახე და შემომჩივლა კიდეც, რაზედაც დაუთხო-ვიათ.

სოფ. რაზედ ნეტავი. ის მართლა და ყურ მოკრილი ფინია იყო თავის უფროსისა. დაჯექ დედი რასა დგეხარ?

**მიხაილ*. ცოტა გაიზარდოს არა უშავს რა.

**ელენა*. შენ ისა სთქვი რასაც გეუბნებიან. (ჩაბოლდება).

**მიხალ*. ჰო მართლა! შენ ძალიან თაყვანსა სცემდი, იმ ხლეპუზა ჩინოვნიკს.

ელენ. კიდევ!

მიხაილ. დაუბარებია უფროს, ამ რამდენიმე ხნის წინეთ და უთქვამს. რას შრვები ირთამ თუ არა მიხაილ გრიგორიჩის ქალსაო, მე მებრალები რომ არავინ გყავს, და მამის ადგილას მე გამოგყვებიო.

სოფ. ოჰო!!

მიხაილ. დიახ! შენი გულისთვის ჩემო კარგო!

სოფ. მე რა შუაში ვარ აქა?

მ ხ. აი, რა შუაში! ზვერსკის ხასიათი ხომ შეტყობილი გაქვს!—იმას უნდოდა იოსებს წაჰყოლოდა, ან მამათ ან ნათლიად, მერმე კი ნელ-ნელა, საწოლისაკენ წაჰყობდა ცხვირს.

სოფ. ნახტომი შეშლია მამა ჩემო!

ელ. გავ. მაშ რაღა ეშველება საბრალოს? ან რითი უნდა ირჩინოს თავი?

მიხ. მე რომ დამითხოვეს, ის კი ჰფიქრობდა, რით უნდა გვეცხოვრა! ერთხელ აღარ გაიარა ჩვენსა. მე მარტო მაშინ ვიყავი იმისათვის კარგი, როდესაც მომატებაზედ წარვადგენდი ხოლმე. (იდეა შემოვარდება გახარებული).

გამოსვლა მე-6

იგივეთ და ილია.

ილია. დედი, დედი! ოჰ, გამარჯობათ! (ხელს ართმევს), სონა, დედა სად არის?

სონა. აქ არის, რა ამბავია? გატყობ უნდა ახარო რამე!

ილია. ნამდვილად! (შემოდის მატრონა მკლავებ აწეული).

გამოსვლა მე-7

იგივეთ და მატრონა.

მატრონა. (მიესალმება მიხაილ გრიგ. ულენა კარ-დება) როგორ მშვიდობით გიკითხოთ! (ილიას) რა ამბავია შვილო?

სონა. აბა ილუშა რა უნდა გეხარებინა დედა-სათვის.

ილია. (სიხარულით) გაიჩარხა, გაიჩარხა! კო-ლია და ლიზა ეხლავე მოვლენ. კოლიამ ხელი სთხოვა! დედი შენ ხომ უარს ერ ეტყვი?

ყველ ნი. მართლა?

ილია. ნამდვილია, ნამდვილია! აბა, სონა! ეხლა-კი უნდა დავტრიალდეთ?

მატრ. (აქნობამდის ფიქრით გატაცებული) 'მვი-ლო, რას ამბობ? ხომ არ გინდა ჭკუიდამ შემშა-ლო! ეს როგორ დავიჯერო! (შემოდიან ნიკალაი და ლიზა მკლავში ხელ გაყრილები).

გამოსვლა მე-8

იგივეთვე ნიკალაი და ლიზა.

(მიესალმებიან მახ. გრიგ. და ელ. გ-ვრ.).

ლიზა. (მიეგარდება დედას და ეხვევა) დედი! (სონიას) სონია! (ეხვევა).

ყატრ. (ჩიოდას) ნიკოლაი პეტროვიჩ. ეს რა მესმის? ამ წუთში ჩემი ქმრის საფლავიც კი შეინძრევა სიხარულისაგან.

ნიკოლაი. დიახ, ეხლა თქვენ - შეგიძლიანთ დამიძახოთ კოლია და არა ნიკალაი პეტროვიჩი! ვიმეორებ დედი, თქვენს წინაშე. და ყველა აქა კრებულთა, რაც ლიზას უთხარი, რასაკვირველია-ზოგიერთებს ძალიან ეუცხოვებათ; მაგრამ ეს ჩემთვის სულ ერთია. ბატონებო, ამ ერთის საათის წინეთ ბალში სეირნობის დროს, ლიზას ხელი ვსთხოვე, მაგრამ თვალ-ცრემლით მიპასუხა, რომ მატყუებთო. დასამტკიცებლად, რომ არა ვსტყუი. ვიმეორებ საჯაროდ (ლიზას) თუ ღირსადა მცნობთ, გამაბედნიერეთ და მიბოძეთ თქვენი ხელი.

ლიზა. (სიხარულით) ეხლაკი მჯერა ნიკალაი პეტროვიჩ! თქვენი პატიოსანი სიტყვა, და გარწმუნებთ, თუ ჩემს წარსულს არ მომაგონებთ დაგიმტკიც-ბთ მომავლით. (აძლევს ხელს) აი ჩემი ხელი, ინებეთ!

ნიკოლაი. (ართმევს ხელს და ჰკოცნის) ძვირფასო ლიზა! რა ხელი მაქვს წარსულთან, საქმე მომავალია, მომავალზე ვიფიქროთ.

ილია. აბა დედი! ეხლა ხომ გჯერა?

ელენე. (ქმარს) ეს რა ამბები ხდება თქვენი ჭირიმე?

მიხაილ. სსსუუ!!

მატრონა. ნუ გიკვირთ შვილებო, თუ მე კიდევ გონებაზე ვერ მოვსულვარ.

ლიზა. დედა ჩემო! შენმა ცდამ ტყუილად არ ჩაიარა, მოდი მოგეხვიო ჩემო ტანჯულო, საბრალო! (ეხვევიან დიდხანს, ეველას ცრემლები მოსდით).

მატრ. (მოსჭიდებს ხელს ლიზას და მიიყვანს ნიკოლაისთან) ნიკოლაი პეტროვიჩ! თქვენ ისეთი საქმე მოიმოქმედეთ ეხლა! რომლის მგზავსი ჯერ თითქმის არ მომხდარა. და თუ მომხდარა, ძალიან იშვიათად. ამისათვის, ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ წინ გიდევთ დიდი სირცხვილის და დაცინვის ატანა (გადახედავს ელენას) დაფიქრდით კარგათ, თუ ყველა ამაებს ვერ აიტანთ, შეგიძლიანთ თქვენი სიტყვა უკან წაიღოთ! (უცქერის ჰორდაჰირ) ეს იცოდეთ! საითკენაც გაივლით და გამოივლით, ყველგან ქვები და ეკლები დაგიხვდებიან, დაგეკაწრებათ წვივები და ფეხები!

ილია და სონა. ვაშა, ვაშა დედი! სწორეთ, რომ ეგრეა.

ელენე. (ქმარს) ჰხედამ რა ამბები ხდება, ერთი გაფუჭებული ქალის თაობაზედ?

მიხაილ. სუ, შე მუდრეგო! ვერა ხედამ, რომ ეხლა ყველანი პატივსა სცემენ?

ნიკოლაი. დედი! მე არ ვეკუთვნი, იმ გვარ კაცებს, რომლებიც ერთხელ იტყვიან, შემდეგ კი გარდასთქვამენ. მე რაც ეხლა ვსთქვი, ეს ადრევე მოვიაზრე და ამიტომ, აღარც უარს ვიტყვი. თუ კაცს გინდა, რომ ქვეყნათ, ჭეშმარიტება და სიკეთე მოიპოვოს, უნდა იბრძოლოს; უბრძოლველათ ჩვენ სიმართლეს არავინ დაგვითმობს.—ასეა დღეს ცხოვრება დაყენებული. ამისათვის მეც შეებრძოლები, შავ ძალებს, და იმედია თუ ბევრათ არა, ცოტათ მაინც ფონს გავალ! (შეხედავს ლიზას) თუ რასაკვირველია ლიზაც მოიდგება მხარში.

ლიზა. (აღტაცებით) სიკეთილამდის ოქვენს მეგობრად და ამხანაგად დავრჩები!—ბატონებო! ყველა ის გრძნობა, სინიდისი, პატიოსნება, რაც კი ააქვს ადამიანს, არ მოსპობილა ჩემში. მხოლოდ დროებით მიძინებული იყო ელოდა ნიშანს გაღვიძებისას. რადგან ჩემდა საუბედუროთ ისეთ მორევში ჩავიფალი გამაღვიძებელ ნიშანს ვერა ვხედავდი; მაგრამ, თითქოს გული მითქვამდა, მე დღედღეზედ ველოდი იმ ნიშანს და არც შევცდი. ვპოვე ის ნიშანი და გამოვაღვიძე კიდეც. დიახ! მე დღეიდან ვიბადები და ვუბრუნდები ისეთ ცხოვ-

რებას, რომელშიაც ვიყავ ამ სამის წლის წინეთ (ნიკალაის) გიმეორებთ, დაივიწყეთ ყველა ჩემი წარსული, და მერწმუნეთ რომ თქვენთან ერთად მხარში ამომდგარი, წინააღუდგები ყველა სიბოროტეს, რომლის შხამი, ბევრს ჩემისთანაებს სწამლავს.

ყველანი. ვაშა! ვაშა!...

მიხაილ. გრ. (აღელვებული) მომწონს თქვენი სიტყვები! მომწონს!

ილია. მაშ დაო ლიზა! კოლიჰ! ესლა დამრჩომია, რომ გადაგეხვიოთ ორივეს და გისურვოთ გამარჯვება! (ეხვევა ორივეს).

სოფ. ლიზა! (ლიზა ეტევა სოფიას და ეხვევიან) ნიკოლაი პეტროვიჩ! გისურვებთ გამარჯვებას. (ართმევს ხელს) აბა მამავ! დედა ჩემო! თქვენც ჩვენები ხართ.

მიხეილ. დიდის სიამოვნებით, დიდის სიამოვნებით! ბატონებო! გისურვებთ სულითა და გულით ყოველ სიკეთეს (ართმევს ორივეს ხელს, ელენეტ ართმევს ხელს ტუჩაბზეკით).

ილია. აბა დედი! სონია! დატრიალდით!

მატრონ. ეხლავ. არავინ მომეკაროთ, მე გემსახურებით, (ისმის კარებში ბრახუნი ყველანი მიიხედავენ მატრონა კარებში) ვინა გნებავთ?

ილია. (მივა კარებისაკენ) იოსებ, შენა! ეგ რა დაგმართია? შემოდი! (იოსები შემოდის ძველი გახუნებული ტანისამოსით კარებში)

გამოსელა მე-9

იგინივე და იოსები

იოსები. უკაცრავად, მე მარტო მეგონე. შენ სტუმრებიც გყოლია.

სოფიო. იოსებ ზახარიჩ! მობრძანდით. ეგრე უნდა, რომ აღარ გვეკარებით? (სოფიო ლიზას ეჩურჩულება, ილია ნიკოლაის, მიხაილ კრ. ელენას.

იოსებ. (წამოვა წინ) მაპატიეთ, გამარჯვებათ! (ართმევს ხელს უკელას გარდა ლიზასი, მატრონასი ნიკოლაის.

ლია. გაიცანით იოსებ! (ნიკოლაიზე) ეს ჩემი მეგობარია, ნიკოლაი პეტროვიჩ დობროვი, ესეც (ლიზაზე) ამათ საცოლე, ელიზავეტა ალექსანდროვნა! ესეც ჩემი დედათ შეფიცული, ლიზას დედა (იოსები ხელს ართმევს) აი ეხლა კი სუყველანი ვართ აქა! მხოლოდ ერთი ღა გვაკლია და იმედია მალეც—ენახავთ.

ყველანი (გარდა ლიზასი)ვილა!

ლიზა. ჩემი უბედური ძმა ვანია. გმადლობთ ილია არსენიევიჩ! რომ მოიგონეთ. თუ ვიცოცხლეთ, (ნიკოლაის) უნდა როგორმე ვიპოვნოთ.

ნიკოლ. უსათუოდ! მე იმედი მაქვს, რომ მალე პასუხს მივიღებთ!

მატრ. მე კი რალას მოვესწრობი, მაგრამ დი-

დია განგება! მე არც ამ დღის მოსწრებას ვფიქ-
რობდი.

ელენა. გავ. იოსებ ზახარიჩ! რა შეგემთხვათ, რა ამბავია თქვენ თავზედ?

იოსებ. ეჰ, რაღა საკითხია ჩემი ანბავი? ჩვენ უფროსს მგონი ყველა კარგათ იცნობს.

ილია. განა აღარა მსახურობ?

ისებ. ორი კვირა მეტია, რაც დამითხოვეს, და რისთვის,არც კი ღირს სათქმელად.

ილია. არა უშავს რა იოსებ! ადგილს კიდევ ვიშოვნით.

მიხეილ გრ. (იქით) მე კი შავ-ქვასაც აღარ უშოვნიდი, სულმთლად გაფუქებული კაცია. (კარ.ს ბრახუნი).

ილია. ეს კი აღარ ვიცი ვინ უნდა იყვეს. (მიდის, ფოჩტალიონი გამოჩდება).

გამოსვლა მე-10

იგივეე და ფოჩტალიონი.

ფოჩტალ. ნიკალაი დობროვი აქა სდგას?

ნიკოლაი. (მიგა) მე გახლავართ.

ფოშტალ. დეპეშა გახლავთ თქვენ სახელობა-ზედ.

ნიკოლ. მაჩვენეთ!

ფოჩტ. ინებეთ. (ნიკალაი ფულს აძლევს, ფოჩ-

ტალიონი თავს უკრავს და ცადის).

ნიკოლაი. (კითხულობს მერმე ერთბაშად) ჟენევიდან! აბა ჩემო ილუშა! ეხლა შენა ხარ მოსალოცი!

ყველანა. რა ამბავია?

ნიკოლ. აი რა ამბავია! (კითხულობს, ყველანი ყურს უგდებენ) ნიკოლაი პეტროვიჩ! გამოფენაზედ ხალხი ბლომათ დაიარება, გაიმრჯვეს ტრუჟენიკოვის სურათებმა; მეტადრე ტიტველა ქალის და მათხოვრისამ. ქალის სურათში 15,000 ფრანკს იძლევიან მათხოვარისაში. 7,000 ფრანკს. მაგრამ რა კი მწერდი არ ვყიდი. დანარჩენი სურათები გაიყიდა, 20,000 ფრანკათ. ფული გამოგიგზავნე მალე მიიღებ. ქალის სურათი პირველ ხარისხის ჯილდოს მიიღებს. შენი სურათებიც სულ გაიყიდა. მიულოცე ტრუჟენიკოვს და უსათუოდ წამოდით. რადგან ხალხი პირადად გაცნობას თხოულობს. 30 აკადემიკ მხატვარებს ადრესი ააქვთ მისართმევად დამზადებული. აბა გელით! შენი რობერტი, ჟენევა.

მიხეილ გრ. ღმერთო ჩემო! ეს მთელი სიმდიდრეა!

ელენა. სწორედ მოჩვენებაა!

ლიზა. გილოცავთ ორივეს! (ილიას და სოფიას გრძნობით ხელს ართმევს).

მატრონა. ღმერთო, როგორ ავიტანო ამოდე-

ნა სიხარული (ილიას) აბა შვილო! არ დაგავიწყდეს, ქალი ხომ ვიპოვნე, სურათი მე უნდა მომცე!

ილია. აკი არცა ვყოდი! მე ჩემს სიტყვას არ გადავალ.

მატრონა. იცი შვილო! (ლიზას) რომ ის მათხოვარა დედა-კაცი, რომელიც ეხლა ფენევაშია გამოფენაზედ, და ამოდენა ფასს აძლევენ ვინ არის?

ლიზა. ვინ არის დედა?

მატრ. აქნობამდის ყველაფერს გიმალავდი, ეხლა კი გეტყვი. ის [ა]არის შენი დედის სურათი, რომელიც შენი დაკარგვის შემდეგ, 3 წელიწადი მათხოვრობდა, აი, ამათ (უჩვენებს ილიაზე და სოფიაზე) წყალობით, ეხლა აქა მხედავ, შენთან ერთად. შენმა ძმებმა თუ გამაგდეს, აი მეორე ძმა!

სოფიო. ეგეები საჭირო არ არის დედი! ეხლა ყველას სიმხიარულე გვმართებს.

ნიკოლ. აბა ჩემო ილია! შენ დღეის იქით დიდათ პატივ-საცემი პირი ხარ, და ხელ-მეორედ ვიხრი შენი ნიკის წინ თავს (იჩოქებს).

ყველანი. მეც, მეც, მეც!

ილია. (აღტაცებით ხან-ერთს მივარდება აეკრებს, ხან მეორეს) ბატონებო, რას ჩადით მე მაინც

თქვენი ძმა და მეგობარი ვარ, ადექით! რასა სჩადით? (დგებიან).

სოფ. (ელენა გავრ). აბა დედი! ეხლა ხომ დარწმუნდი, რომ ხელოვნება სჯობინ, კაკარდას?

ელენე. დავრწმუნდი, დავრწმუნდი შვილო!

მიხეილ. მე ეგ, ადრევე ვიცოდი, მაგრამ ვინ მიჯერებდა!

მატრონა. აბა ბატონებო! ეხლა კი წამობრძანდით სასადილო ოთახში, და დანარჩენი იქ ვილაპარაკოთ. არ დაგავიწყდეთ, რომ დღეს სუყველანი ჩემი წვეულნი ბრძანდებით. (ამ დროს შემოჰყოფენ თავს ივან ზახარიჩი და სერგეი პეტროვიჩი)

გამოსვლა მე-11

ივინიეე, ივან ზახარიჩი, და სერგეი პეტროვიჩი

სერგეი პეტ. ბატონო მხატვარო ხომ აღარ დაგვხატავთ, ლამის მშივრები დავიხოცნეთ!

ილია. (მივარდება მაჯ) მოდით ძმებო, მოდით! მე დღეს, თქვენის წყალობით, მდიდარი და სახელოვანი კაცი შევიქენი. გახსოვთ რომ გეუბნებოდით, თუ ივარგებს ზედმეტსაც მიიღებთ მეთქი! (წამოვდგენ წინ) აბა სონია ფული გამოიტანე ეკატერინკა. (სონია შედის მეორე ოთახში გამოაქვს ფული და აძლევს ილიას) აი ეს ათი თუმანი, რო-

დესაც ტანისამოს ჩაცმული მოხვალთ, ყოველ თვე თითო თუმანს მიიღებთ ჩემგან სანამ შემეძლება.

ორიგენი. (ართმეუენ) დიდათა გმადლობთ ბატონო მხატვარო, დიდათ! (მიდიან)

ილია. არ დაგავიწყდეთ ეგ ტანისამოსის ფულია ეხლავ იყიდეთ და ისე მოდით, მერმე სხვა იქნება.

სერგეი პეტროვიჩ. კეთილი ბატონო მხატვარო! ეხლავ მკერვალთან გავიქცევით.

ივან ზახარიჩი მკერვალთან როდის მოგვესწრება. პირდაპირ მაღაზიაში წავიდეთ.

ილია. ეგრე სჯობიან. (სიცილით) ჩხუბი კი არ მოგვიდეთ!

ორიგენი. ეხლა აღარ ვიჩხუბებთ. ნახვამდის ბატონებო! (მირბიან კარებში შეეხეჩებიან ვანოს გადახის ტანისამოსში)

ყველანი. ეს ვილაა?

გამოსელა მე-12

იგინივე და ვანო.

ვანო. (შემოდის) ბატონებო! ნუ გამკიცხავთ! გამიკითხეთ შორი გზიდან მოვდივარ. (დიზა მიეგ-მატრონასთან), ღმერთო ჩემო ეს ხმა!

ვანო. (გადაათვალიერებს ეგედას) მაპატიეთ.

ილია. დაჯექი ბიძიავ! რა უნდა გაპატიოთ. დღეს სადილათ ჩვენთან დარჩით.

ყველანი. დარჩით დარჩით.

ვანო. (აღელვებული თან ცრემლები ერევა) როგორც გატყობთ, არა ჰგვეხართ იმათ, რომლებიც ცოფიანი ძაღლებივით დამეძებენ და ძვირადაც დაასაჩუქრებდნენ, ვინც ჩემს თავს მათ უჩვენებდა. (გადახედავს სუფველას) ბატონებო! ორის სიტყვის თქმის უფლებას გთხოვთ!..

ყველანი. ბრძანეთ, ბრძანეთ!..

ვანო. გმადლობთ! (მოიხსნის სალეხურს აკაუჭებულ ჯოხს და დასდებს) შენ ჩემო ხის ფეხო! დიდი ამაგი დამდე და ბევრს განსაცდელისაგან დამიხსენი ამისათვის დიდათ გმადლობ. (სდებს იქვე იხსნის აბგას) შენ ჩემო აბგავ. ისე ერდგულად, ემსახურებოდი შენ ძმობილ ფეხს, რომ შენც მადლობის ღირსი ხარ (ყველანი გაიცვიფრებიან შესტქერიან) ბატონებო! გთხოვთ ნუ ჩამთვლით უბრალო ქუჩის მაწანწალად. ამ რამდენიმე ხნის წინეთ, შურის ძიების აღსრულებისათვის, და სიმართლის აღდგენისათვის, შორს ქვეყანაში მიკრეს თავი, საიდგანაც გამოვიქეცი და თანვე გამოვაპარე 15 კაცი ჩემი ამხანაგები. 3 არშინი კედელი გამოვხრიტეთ. (დაატქერდება დიზას და მატრონას, მოიგდეჯს ბარიკს) რას მიცქერი ლიზავ! ველარა სცნობ შენ ძმას ვანიას! დედაჩემო!?

მატრონა. (მივარდება) შვილო!

ლიზა (მივარდება) ძმაო! (ერთ ერთი მხრივ მეორე მხრივ დიდხანს არიან ასე. ეველას ტრემლები ერევა)

ნიკოლაი. აი ეხლა კი დავხიოთ ქუდები!?

იოსები. (იქით) რა კარგი საქმე მომივიდა, უსათუოდ მეც პოლიციას შევატყობინებ და საქმეც გამეჩარხება!!

ფარდა ნელა ეშვება